



ქრისტიანული ეკლესიის ისტორია

I ს. – XV ს. უზა ფლავი
(დასაბამიდან კონსტანტინეოლის დაცეამდე)

შეადგინა
გვანცა კოკლატაძე

მესამე უმჯობესი გამოცემა



საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი, 2009


ს ა რ ჩ ე ვ ი

სამყარო ქრისტეს მოსვლის წინ	3
მოციქულთა ეკლესია იერუსალიმში	6
ეკლესიის დევნის დასაწყისი	9
პეტრე მოციქულის მოღვაწეობის დასაწყისი	12
წმიდა პავლეს მოციქულებრივი ღვაწლი	15
დევნა პავლე მოციქულისა	20
პავლე მოციქული რომში	22
ქრისტიანთა პირველი დევნა	26
ქრისტიანთა პირველი დევნა და თავთა მოციქულთა აღსასრული	29
ღვაწლი დანარჩენ მოციქულთა	30
იუდეას ომი და იერუსალიმის დაცემა	34
წმ. იოანე ღმრთისმეტყველი და ქრისტიანთა დევნის II პერიოდი	41
მოციქულთა მონაფენი. პირველი სახე ქრისტ. ღმრთისმსახურებისა	44
პირველი ერეტიკული მიმდინარეობანი	51
წმიდა ეგნატე ღმრთიშემოსილი	54
პირველი ქრისტიანი მონაფენი	58
ქრისტიანთა დევნის მეოთხე პერიოდი. წმ. მონაფე იუსტინე	62
წმიდა პოლიკარპე სმირნელი	66
ლიონელ ქრისტიანთა წამება	69
ეკლესიის მდგომარეობა მეორე საუკუნის ბოლოს	72
ქრისტიანული მწერლობა და განათლება	73
ქრისტიანთა დევნის მეხუთე პერიოდი	76
ორიგენე	79
წმიდა გრიგოლ ნეოკესარიელი	84
VII დევნა. წამებულნი ალექსანდრიაში, მც. აზიასა და სხვა მხარეებში	88
წმიდა მონაფე კვიპრიანე კართაგენელი. ქრისტიანთა დევნის VIII პერ.	96
დევნის მეათე პერიოდი. ეკლესიის საერთო მდგომარეობა	
მეორე-მესამე საუკუნეებში	104
კონსტანტინე დიდი და პირველი მსოფლიო კრება	123
ეკლესია ნიკეის კრების შემდგომ პერიოდში	134
წმიდა ნინო. ქართლის მოქცევა	135
ქრისტიანობის გავრცელება ეთიოპიასა და ტავრისში	137
კონსტანტინეპოლის დაარსება	138
წმინდა ათანასე დიდი და დევნა არიოზელთაგან	141
ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის მოღვაწენი	155
ეკლესია იულიანე განდგომილის მეფობის წლებში	169
ეკლესიის დევნის განახლება არიოზელთაგან	177
წმიდა ბასილი დიდი	179
ვალენტის აღსასრული	198
წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი	201
წმიდა გრიგოლ ნოსელი	211
დასავლეთის ეკლესია გრაციანესა და ვალენტიანიანე II დროს	213
ეკლესია თეოდოსი დიდის დროს	225
წმინდა იოვანე ოქროპირი	232
ნეტარი ავგუსტინე	246

პელაგიუსის ერესი. რომის იმპერიის დაცემა	252
ნესტორის ერესი და მესამე მსოფლიო კრება	260
მონოფოზიტური ერესი და მეოთხე მსოფლიო კრება	263
იმპერატორი იუსტინიანე დიდი და მეხუთე მსოფლიო კრება	270
ქრისტიანობა საქართველოში	274
ქრისტიანობა სპარსეთსა და სომხეთში	289
წმინდა მოლვანენი და საეკლესიო მწერლები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში	291
ქრისტიანული ერის დასაწყისი ბრიტანეთსა და გალიაში	301
ეკლესია ინგლისში. ბრძოლა რომის ეკლესიისა ძველბრიტანულ ეკლესიასთან	307
ეკლესია ცენტრალურ ევროპაში მეცხრე საუკუნემდე	316
ჰერაკლე კეისარი. ბიზანტია და მუსულმანობა	330
მონოთელიტური ერესი და მეექვსე მსოფლიო კრება	349
საქართველოს ეკლესია VII საუკუნეში	352
ქართული ეკლესია არაბების ბატონობის პერიოდში. წმიდა მონაწმინდე დავით და კონსტანტინე	356
ხატომბრძოლობის ერესი და მე-7 მსოფლიო კრება	360
წმიდა იოვანე დამასკელი	371
პაპის ხელისუფლების გაზრდა მეცხრე საუკუნეში	374
კარლოს დიდის მეფობა; ცვლილება რწმენის სიმბოლოში	380
პაპობა კარლოს დიდის მემკვიდრეთა დროს. ცრუ ისიდორეს დეკრეტალები. პაპი ნიკოლოზი	385
პატრიარქი ფოტიოსის ბრძოლა პაპ ნიკოლოზსა და მის მემკვიდრეებთან (842-886)	395
ცენტრალური ევროპის ცნობილი ღმრთისმეტყველნი. ცრუმოდვარნი. მონასტრები	402
ქართული ეკლესია VIII-IX საუკუნეებში	410
ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება სკანდინავიის ქვეყნებში	417
სლავთა გაქრისტიანება. წმიდა კირილე და მეთოდე და მათი მონაწმინდე	426
საქართველოს ეკლესია X-XI საუკუნეებში	441
პაპობა X-XI საუკუნეებში	449
კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიათა ურთიერთობა X-XI საუკუნეებში. პატრიარქი მიქაელ კერულიაროსი	455
ბიზანტიის იმპერია XI საუკუნის მეორე ნახევარში	464
მიქაელ ფსელოსი და სამეფო კარის ინტრიგები	471
იოანე იტალოსის ცრუ მოძღვრება	479
მარიამ-მართაყოფილის დედოფლობა	481
ჯვაროსნულ ლაშქრობათა დაწყების მიზეზები	484
პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა	488
საქართველოს ეკლესია XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნის პირველ ნახევარში	
ეფრემ მცირე	504
არსენ იყალთოელი	507
დავით აღმაშენებელი	510
იოანე პეტრიწი	518
საქართველო XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში დემეტრე I-სა და გიორგი III-ის მეფობის წლები	521
წმ. თამარ მეფე	524
საქართველო მონღოლთა ბატონობის პერიოდში	536

..... 252
..... 260
..... 263
..... 270
..... 274
..... 289
..... 291
..... 301
..... 307
..... 316
..... 330
..... 349
..... 352
..... 356
..... 360
..... 371
..... 374
..... 380
..... 385
..... 395
..... 402
..... 410
..... 417
..... 426
..... 441
..... 449
..... 455
..... 464
..... 471
..... 479
..... 481
..... 484
..... 488
..... 504
..... 507
..... 510
..... 518
..... 521
..... 524
..... 536

სარჩევი	607
ნმინდა შალვა ახალციხელი. ასიათასი ქართველი მონამე	540
მონღოლთა შემოსევა საქართველოში	542
ნმიდა ცოტნე დადიანი	544
ორთა მეფობის ხანა საქართველოში	548
ნმიდა მეფე დემეტრე თავდადებული	553
ბიზანტია XIV საუკუნეში. ისიხაზმი	555
ნმინდა გრიგოლ პალამა	572
მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა	582
გიორგი პლითონის ელინური პატრიოტიზმი	586
ბიზანტიის მდგომარეობა XIV-XV სს-ში და ფერარა-ფლორენციის კრება	596
კონსტანტინეპოლის დაცემა და ბიზანტიის იმპერიის დაღუპვა	604
ბოლოსიტყვა	605



საქართველოს ენციკლოპედია
 გამომცემი "საბჭოთა საქართველო"
 თბილისი, 1980 წ.

კარლოს მარტელისგან მწარე დამარცხება იგემეს, რამაც მათ წარმატებებს დასავლეთში დროებით წერტილი დაუსვა. აღმოსავლეთში წარუმატებლობა არაბებმა მხოლოდ კონსტანტინეპოლის კედლებთან განიცადეს; რაც შეეხება ეგვიპტეს, სირიასა და პალესტინას, ისინი უკვე კარგა ხანია ხალიფებს ემორჩილებოდნენ, რომელნიც დამასკოში ცხოვრობდნენ. სწრაფად დაეცა განათლება იმ ქვეყნებში, რომელთაც აქამდე თავი სწორედ განათლებით მოქონდათ. ის ხალიფებიც კი, რომელნიც ქრისტიანებს შედარებით ლმობიერად ეპყრობოდნენ, ქრისტიანულ განათლებას სდევნიდნენ, ფიქრობდნენ რა, რომ მიზანს ამ გზით მიაღწევდნენ. ასე მაგალითად, ხალიფა აბდულამ ქრისტიანებს სწავლა სიკვდილით დასჯის შიშით აუკრძალა. მას სჯეროდა, რომ ამ ხერხით ამოძირკვავდა ქრისტიანთა ღმრთისმსახურებას, რომელიც წიგნების მიხედვით სრულდებოდა. მაგრამ ყველაზე იმავეს თქმა არ შეიძლება. შემდეგში არაბები მეცნიერებით თვითონაც დაინტერესდნენ. ასე რომ, ესპანეთში კორდობის ხალიფები ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველები გახდნენ.

საქართველოს ეკლესია VII საუკუნეში

მიუხედავად IV და V მსოფლიო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა, დავას დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შორის სიცხარე არ მოჰკლებია. სწორედ დოგმატურ საკითხებზე წარმოშობილი კამათი გახდა საფუძველი იმისა, რომ მე-7 საუკუნის დასაწყისში ორი მეზობელი ქვეყნის — საქართველოსა და სომხეთის ეკლესიათა გზები გაიყო. იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართა მოვლენები, რომელთა შედეგადაც ქართული და სომხური ეკლესიის გზები ერთმანეთს დაშორდა, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსენ დიდი კათალიკოსი მოგვითხრობს წიგნში „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, ხოლო სომხურში — X საუკუნის ისტორიკოსი უხტანესი თხზულებაში „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, რომელიც თავის მხრივ „ეპისტოლეთა წიგნს“ ემყარება.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ საქართველოში არც ნესტორის ერესსა და არც მონოფიზიტობას იმდენი მიმდევარი არ ჰყოლია, რომ მათ დაპირისპირების ძალა ჰქონოდათ ქართულ ეკლესიასთან, რომელმაც თავიდანვე სწორი პოზიცია აირჩია და ქალკედონის კრებაზე დადგენილ მართლმადიდებლურ სწავლებას ქრისტეში ორი ბუნების არსებობის შესახებ მხარი უყოყმანოდ დაუჭირა. სამაგიეროდ მონოფიზიტურმა ერესმა მეზობელ სომხეთში ფესვები ისე ღრმად გაიდგა, რომ ლამის ეროვნულ სარწმუნოებად იქცა.

ქალკედონის კრებიდან ასი წლის შემდეგ, 551 წელს დვინის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე სომხურმა ეკლესიამ ძირითადი მონოფიზიტური თეზისი „ხაჩეცარიის“ სახით დაამტკიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამწმიდას გალობას: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, დაემატა სიტყვები: ჩვენთვის ჯვარცმულო, რითაც იმის აბსურდულ აღიარებამდე მივიდა, რომ ჯვარს ღმერთი ეცვა და მოკვდა. „და შესძინეს ხაჩეცარი (ესე არს: სამწმიდაარსსა შორის შეჰმატეს ჯუარცუმული, დაჩემეს ვნებაჲ ღმერთებისა ძალსა უვნებელსა, უკუდავსა — სიკუდილი)“, — წერს არსენ კათალიკოსი და შედეგსაც გვამცნობს: „განდგეს მართლისაგან და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და უცხო იქმნეს და განისხნეს წმიდისაგან და დიდებულისა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიისა“ („განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, გვ. 80).

მსოფლიო ეკლესიას ჩამოშორებულმა სომხებმა ქართველების გადაბირებაც მონ-

დომეს და როცა ამას სხვა გზებით ვერ მიაღწიეს, გადაწყვიტეს ქართულ ეკლესიას ამკარად დაპირისპირებოდნენ და ამისთვის ცურტავის ეპისკოპოსი მოსე გამოიყენეს. ქართლის საკათალიკოსოს 35 ეპარქიათა შორის ცურტავის საეპისკოპოსოც შედიოდა. იგი ქვეყნის განაპირას მდებარეობდა და სამხრეთით სომხეთი ესაზღვრებოდა. თუმცა „შუშანიკის წამება“ V საუკუნეში ცურტავის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ცნობებს არ გვაწვდის, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სომხეთიდან შემოხიზნულ მამიკონიანთა სახლობას, რომელიც სპარსეთთან ბრძოლაში დამარცხდა, სხვა სომხებიც უნდა შემოპყროლოდნენ. VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დასაწყისში კი ცურტავის სამწყვსოში ქართველებთან ერთად სომხებიც შედიოდნენ, რის გამოც ეპისკოპოსებადაც ხან ქართველები იყვნენ, ხანაც სომხები.

ცურტავის ეპისკოპოსი მოსე, რომელიც ეროვნებით სომეხი იყო, მოულოდნელად საქართველოდან სომხეთში გაიქცა და სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს, ვრთანებს წერილობით შესჩივლა, რომ ანტიქალკედონური შეხედულებების გამო საქართველოდან განდევნეს. მისი თქმით, როცა შეიტყო, რომ ქართლის კათალიკოსი კირიონი* ქალკედონის კრების „ურთულ განსაზღვრებას“ განადიდებდა და „ღმრთის ძეს გმობდა“, ხმა აღიმადლა, რის გამოც კათალიკოსიც, ერის მთავარნიცა და მთელი ქვეყანაც მტრად ექცა და იძულებული გახდა გაქცეულიყო (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ., 1975, გვ. 53).

სომეხთა კათალიკოსის აბრაამისადმი მიწერილ წერილში კათალიკოსი კირიონი მოსეს გაქცევის სხვა მიზეზს ასახელებს. როგორც იგი წერს, ზოგიერთი სულმდაბალი საქციელის გამო მან მოსე კი არ გააძევა, არამედ თავისთან დაიბარა, რათა დაერიგებინა, მაგრამ ცურტავის ეპისკოპოსი მამამთავართან არა თუ არ მივიდა, არამედ თავისი ეკლესიაც მიატოვა და ჩუმად გაიპარა (იქვე, გვ. 127). კირიონის სიმართლეს თვით მოსე ცურტაველიც ადასტურებს, როცა სუმბატ გურგანელისადმი მიწერილ წერილში არ უარყოფს, რომ კათალიკოსმა მართლაც დაიბარა, მაგრამ თავს იმით იმართლებს, რომ თბილისში მის კარზე მყოფი მიღებას ცხრა დღის განმავლობაში ამოდ ელოდა, ხოლო მეათე დღეს, როცა კირიონი მცხეთაში გაემგზავრა, თვითონ სომხეთისკენ გასწია, თანაც დღისით და არა ღამით და ფარულად.

როგორც ვხედავთ, მოსეს ვრთანესისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში სიმართლე დაუმაღავეს და მდგომარეობის გასამწვავებლად დევნილობა მოუგონია. თუ მოსეს ტყუილის თქმა და ცილისწამება ასე ეადვილებოდა, რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ მაშინაც არ ტყუის, როცა ცხრა დღის ამოდ ლოდინზე ლაპარაკობს? კირიონი არ ასახელებს, კონკრეტულად, რაში ედებოდა ბრალი მოსეს, რისთვისაც მისი დაბარება დასჭირდა, მაგრამ რადგანაც თვითონ ცურტავის ეპისკოპოსი დევნის მიზეზად სარწმუნოებას ასახელებს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სამწყვსოს მისი მხარდაჭერის მოპოვებისა და გადაბირების მიზნით მონოფიზიტურ იდეებს აქტიურად უქადაგებდა, რასაც ქართული ეკლესია, ბუნებრივია, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. მოსემ ძალიან კარგად იცოდა, რისთვისაც იბარებდა კათალიკოსი, ამიტომ მასთან შეხვედრასა და დარიგებების მოსმენას თავი აარიდა და სომხეთში გაიქცა, რათა იქაური ეკლესიის მესვეური ქართული ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩაერია. ისინიც ამას ელოდებოდნენ, ამიტომ საბაბი მიეცათ თუ არა, მაშინვე გამოხატეს თავიანთი გულისწყრომა იმის გამო, რომ საქართველოს ეკლესიამ ქალკედონის კრების განსაზღვრება ქრისტეში ორი ბუნების არსებობის შესახებ დოგმატად აღიარა და საბერძნეთის ეკლესი-

*კირიონი (ერისკაცობაში სვიმეონი) წარმოშობით ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან ყოფილა. განათლება მას მცირე აზიაში ნიკოპოლის მახლობლად ქ. კოლონიაში მიუღია.

ის გვერდით მტკიცედ დადგა. კირიონისთვის ჯერ წერილი სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს ვრთანესს მიუწერია, რომელშიც იგი სომხური ეკლესიის თვალსაზრისით გამოხატავს იმის თაობაზე, რომ რადგანაც ორივე ქვეყანას, „უფლის უბიძარა და მხნე მოღვაწე“ წმ. გრიგოლის სახით, ერთი განმანათლებელი ჰყავდა, ამიტომ სარწმუნოებაც ერთი უნდა ჰქონოდათ და, აქედან გამომდინარე, ქართველებს მამამთავარი სჯულის დალატს საყვედურობდა.*

ამასთან, ვრთანესს არ მორიდებია უვიცი ქოლდებინა ქართლის კათალიკოსისათვის რაც თითქოს მიზეზი იყო იმისა, რომ იგი სარწმუნოებრივ საკითხებში ვერ გაერკვე და მწვალებლობა მართლმადიდებლობისაგან ვერ გაარჩია (იქვე, გვ. 79).

კირიონის საპასუხო წერილი, ვრთანესისადმი მიწერილი, ეპისტოლეუთა წინა არ აღმოჩნდა, შესაძლებელია იმ მიზეზითაც, რომ ქართლის კათალიკოსს იგი არ დაუწერია. უხტანესის გადმოცემით, სომეხთა კათალიკოსის მოადგილის წერილი კირიონი იმდენად აღუშფოთებია, რომ მუქარით წარმოუთქვამს: „ამ წერილს იყრუბა ალემს, ქალაქის მამამთავართან გაუგზავნი, პასუხს ის გასცემსო“ (იქვე, გვ. 85).

მალე საქმეში სომეხთა ახლადარჩეული კათალიკოსი აბრაამი ჩაერია და ქართლის კათალიკოსს წერილი გაუგზავნა, რომელშიც რამდენიმე მომენტი იქცევს ვრთანესს: 1. ბრალდება ჰუმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომით და მოსე ეპისკოპოსის განდევნით მოძმე სომხურ ეკლესიასთან ერთობის დარღვევისათვის; 2. საუბრის ცურტავში შუშანიკის სამარტვილეში ღმრთისმსახურების ნაცვლად სომხურისა ქართულ ენაზე დაწესებისა გამო და 3. ქართული ეკლესიის მესვეურთა დამნაშავეობის მცდელობა სპარსეთთან დასმენით. აბრაამ კათალიკოსის განსაკუთრებული გულისწყრომა ღმრთისმსახურების ენის შეცვლას გამოუწვევია: „ებლა ცურტავის ეკლესიის ეპისკოპოსი დევნილია მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარების გამო და წმიდა შუშანიკისაგან განწესებული მშობლიური მსახურება, როგორც მუიტივეთ, შეგიცვლიათ“, — წერს იგი კირიონს და ეს ფაქტი სიკვდილზე უბოროტესად ეჩვენება. კირიონის პასუხში ჩანს, რომ მას შუშანიკის სამარტვილეში სომხურ ენაზე ღმრთისმსახურება კი არ აუკრძალავს, არამედ სომხურის გვერდით მსახურება ქართულ ენაზეც დაუწესებია და ეს ლოგიკურიც იყო, რადგანაც ცურტავის მკვიდრ მოსახლეობას სწორედ ქართველობა წარმოადგენდა. რაც შეეხება მოსე ეპისკოპოსის განდევნას, იგი წერდა: „მისი საქმენი გვამცნობენ, მართლმადიდებელი სარწმუნოების გამო წავიდა თუ სხვა რამ საქმეთა გამო. მე იგი არ მიდევნია, არამედ მოუწოდე ჩემთან დასარიგებლად. მან ეკლესია მიატოვა და დამე ფარულად წავიდა“ (გვ. 125—127).

ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას მაინც აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მცდელობას ტოლებს — სპარსეთით დააშინოს ქართლის კათალიკოსი: „არის რაღაც, რაც დაუჯერებლად გვეჩვენა! რატომ შეკრა მეფეთა-მეფის მონამ უცხო სამეფოსთან სიყვარულის ერთობა და მკვიდრს განეშორა? ეს ძალიან მძიმეა“ (იქვე, გვ. 125). საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის ქართლსაც და სომხეთსაც დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა და სპარსეთის გამგებლობის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. ბუნებრივია, დაპყრობილი ქვეყნების რელიგიური მრწამსისადმი სპარსეთი გულგრილი ვერ დარჩებოდა, მთ უმეტეს, რომ ქრისტიანული ეკლესიის შიგნით წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით თავისი თვალსაზრისი ჰქონდა და მისი სიმპათიები მონოფიზიტობისაკენ იხრებოდა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ აბრაამ სომეხთა კათალიკოსი საქართველოს ვე-

* როგორც ბერძნული და ქართული წყაროები გვიდასტურებენ, საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი წმ. ნინო იყო.

უცხო სამეფოსთან სიყვარულის ერთობას“ ანუ ბერძნებთან სარწმუნოებრივ კავშირს როგორც ბატონისაგან მონის განდგომას ისე აფასებდა და იმ სასჯელით ამინებდა, რომელიც ამ ღალატს შედეგად უნდა მოჰყოლოდა. ამ ვითარების გათვალისწინებით კიდევ უფრო დააფასებთ კირიონის პასუხს, რომელშიც სიბრძნეს ასე ჰარმონიულად ერწყმის წინდახედულება და სიფრთხილე: „ჩვენი და თქვენი მამები მეფეთა-მეფის (სპარსეთის) ხელმწიფების ქვეშ იყვნენ და სარწმუნოება იერუსალიმისა ჰქონდათ“-ო (გვ. 127). როგორც ვხედავთ, ქართლის კათალიკოსი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასა და რელიგიურ აღმსარებლობას ერთმანეთისაგან ყოფს და ფიქრობს, რომ აღმსარებლობის შენარჩუნება პოლიტიკური მონობის დროსაც შესაძლებელია, მით უმეტეს, თუ დამპყრობელი ისე მოიქცევა, როგორც სპარსეთის მეფე ხოსრო მოიქცა, რომელმაც ქრისტიანებს აღმსარებლობის თავისუფლება მისცა. კირიონი მარჯვედ იყენებს იმ ფაქტსაც, რომ ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთ რომის იმპერიის — ბიზანტიის გარკვეული ნაწილი სპარსეთის მეფეს ჰქონდა დაპყრობილი და აბრაამის ბრალდებას — უცხო სამეფოსთან კავშირი რატომ გაქვთო, იმით აბათილებს, რომ არავითარი სხვა, უცხო სამეფო არ არსებობდა, რადგან ხოსრო მეფის ძალაუფლება რომაელებზეც ვრცელდებოდა. სწორედ წინაპრებისათვის ღმრთისგან მიმდღებულ ამგვარ ნიჭიერებას დიპლომატიაში ხშირად უხსნია ჩვენი ქვეყანა გასაჭირისაგან და გამოუვალი მდგომარეობიდანაც გამოუყვანია.

აქვე შევნიშნავთ, რომ როგორც ამას არსენ საფარელი გვამცნობს, აბრაამს დასმენის მუქარა მართლაც აუსრულებია: „მამინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფესა თანა სპარსთასა, ვითარმედ ჰრომთა უპყრია სარწმუნოებად“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 82).

სრულიად მართებულად წერდა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს მეორე ეპისტოლის პასუხად კირიონი: „მაგ მოსეს, როცა ცურტაგის ეპისკოპოსად დადგენა მოვისურვით, უნდა ეთქვა: მე თქვენგან არ ვიკურთხვი, რადგან მართლმორწმუნე არა ხართ“. შეუძლებელია ვირწმუნოთ მოსეს ფიცი, კურთხევისას არ ვიცოდი კათალიკოსი რა აღმსარებლობისა იყო. უფრო დასაჯერებელი ისაა, რომ ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ქართული ეკლესიის მღვდელმთავრობა სჭირდებოდა, რათა სამწყესოში მწვალებლობის დვარძლის დათესვა გაადვილებოდა და დიოფიზიტი კათალიკოსისაგან ხელთდასხმა ამიტომაც მიიღო.

კათალიკოსებს შორის მიწერ-მოწერამ თანხმობა ორი ქვეყნის ეკლესიებს შორის ვერ აღადგინა და ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან სომეხებს მიაჩნდათ, რომ, როგორც ფ. ჯავახიშვილი წერს: „ქართველები სპარსეთის ქრისტიანებსა და სომეხებს არ უნდა წამოჰშორებოდნენ და მათთან უეჭველი ერთობა დაეცვათ“, ხოლო ქართველებს არც მართლმადიდებლობის დატყვება სურდათ და არც ბერძნულ-რომაულ ეკლესიასთან ერთობის მოშლა.

მიწერ-მოწერის უშედეგობა პირველმა კირიონმა აღიარა, მესამე ეპისტოლეში მან გულახდილად მისწერა აბრაამს: „რადგან ჩვენი სარწმუნოების გამოძიება გსურთ, ვითარგმნინე და გამოვატანე ოთხივე კრების წიგნი, რომლითაც ბერძნები ხელმძღვანელობენ... გნებაუთ თუ არა გნებაუთ, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“-ო (უხტანესი, გვ. 143). წერილის მტკიცე ტონმა სომეხთა კათალიკოსი მიახვედრა, რომ ჰაექრობის გავრძელებას აზრი მართლაც აღარ ჰქონდა და 607(8) წელს საყოველთაო ეპისტოლე გამოსცა, რომელშიც თავის სამწყსოს, ისევე როგორც ადრე ბერძნებთან, ქართველებთანაც ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა უბრძანა, გარდა ყიდვა-გაყიდვისა: „სრულიადაც არ ეზიაროთ მათ (ე. ი. ქართველებს) არც ლოცვაში, არც ჭამა-ხმაში, არც მეგობრობაში, არც დედა-მძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში და არც მათი ჩვენს ეკლესიაში მიღებით. მათთან ქორწინებისაგანაც სრული-

ად განეშორეთ; მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ“ (იქვე, გვ. 211).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ ნიადაგზე გარდასახვის მიზეზთა მომთხრობი წყაროები ძირითადად სომხურ ენაზეა შემორჩენილი, როგორც ეს მკვლევართა მიერ არაერთგზისაა შენიშნული, გამოკვეთილად ტენდენციური ხასიათი აქვთ, ერთი რამ უდავოა: სარწმუნოებრივი აღმსარებლობის არჩევას (მონოფიზიტობა თუ დიოფიზიტობა) ქართველებზე ძალის დატანების ხერხს სომეხები მიმართავდნენ და არა პირიქით. ამასთან, რადგან ეს ძალა თვითონ არ გააძლიერებდა, ქართველთა დაშინებას სპარსეთითა და მისი მეფით ცდილობდნენ. იმ დროისათვის ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ხელს სწორედ სომეხთა აძლევდა. მართალია, შაჰმა ქართლს სიტყვიერად რელიგიური აღმსარებლობის თავისუფალი არჩევანის უფლება მისცა, მაგრამ ხოსრო II სამეფო კარი დიდად კათოლიკური დარჩებოდა, თუ ქართველები მონოფიზიტები გახდებოდნენ და აღმოსავლეთის სომხურ-სპარსულ ეკლესიას შეუერთდებოდნენ.

მალე ეს მოვლენების განვითარებასაც დაადასტურა. ხოსრო II მიერ ქალკედონური ქართლის მიმართ გამოჩენილი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იერუსალიმის აღების შემდეგ, 614 წელს, მან საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც დაადგინა, რომ სპარსეთის შაჰის მორჩილ ქრისტიანებს სომეხთა სარწმუნოება, მონოფიზიტობა უნდა მიეღოთ. ამ დადგენილების შედეგად სარწმუნოებრივ დაპირისპირებაში გამარჯვების სასწორი სომეხების მხარეზე გადაიხარა. რის გამოც კირიონ კათალიკოსი, ადარნასე ერისმთავარი და სხვანი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ქართლი. მართალია, კირიონის ცხოვრება შემდეგში როგორ წარიმართა, არ ვიცით, მაგრამ გაბელულმა მოღვაწეობამ ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის ბრძოლაში მისი სახელი საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიაში უქრობი შარავანდედით შემოსა.

ღმრთის წყალობით, მონოფიზიტ სომეხებს, სპარსეთის ძალით გულმოცემულ ქართლში გამარჯვება დიდხანს არ უხეიმათ. ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ სპარსეთის ძლიერებას ბოლო მოუღო, ხოლო როგორ იზრუნა მან ქართლში მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის, ამის შესახებ საუბარი უკვე გვქონდა.

ქართული ეკლესია არაბების გატოვების პერიოდში. წმიდა მოწამენი ღვთისმშობლისა და კონსტანტინე

მე-7 საუკუნის ორმოციანი წლებიდან ქართლი ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. არაბებთან ბრძოლაში დაეცა ირანი, რის შედეგადაც დამპყრობლებს ამიერკავკასიაში ისაკენ გზა გაუხსნათ. 642-43 წლებში ისინი ქართლის საზღვრებსაც მოადგნენ, მაგრამ ეს მარბიელი ლაშქარი იყო, რომელიც ქართველებმა ადვილად მოიგერიეს. როგორც არაბები 654 წელს ისევ გამოჩნდნენ, ქართლის ერისმთავარმა, საჩუქრებით დატვირთულ ელჩი მიაგება და ზავი ითხოვა. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რადგან ცხადზე ცხადი იყო — პატარა ქართლი აღმავლობის გზაზე დამდგარ მაჰმადიანთა უზარმაზარ სახელმწიფოს ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

არაბთა სარდალს ჰაბიბ იბნ-მასლამას ქართლის ერისმთავრის საქციელი მოეწონა, მოციქულს თბილისში თავისი კაცი გააყოლა და შეუვალის წიგნი გაატანა. შემდეგ იგი თვითონაც შემოვიდა თბილისში და შეუვალის წიგნი წაიხილა. ცნობილი დოკუმენტი „დაცვის სიგელი“ იყო, პირადადაც დაადასტურა. ამჯერად ქართველები ადვილად გადარჩნენ, არაბებმა შედარებით მსუბუქი ხარკი — ჯიზია

ასტერთან შეიქმნა სკოლა, რომლის მთავარი მოძღვარი პასქაზია რაბერტის მონაწილე, ანეგარიოსი, სკანდინავიის მომავალი მოციქული გახდა. მან თავისი გულმოდგინედ მოუღწეოდა მოღვაწეობით განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურა.

ქართული ეკლესია VIII-IX საუკუნეებში

არაბების ხანგრძლივმა ბატონობამ, მართალია, საქართველოს სამთავროებზე დაშლა-დანაწილებას ხელი დიდად შეუწყო, მაგრამ ქართველობაში სარწმუნოების სიყვარული და ეროვნული თვითშეგნება ვერ ჩაკლა. მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანას გამოცოცხლების ნიშნები აშკარად დაეტყო. დასავლეთ საქართველო, რომელიც არაბების ბატონობას გადაურჩა, მაგრამ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდიდა, მთავარმა ლეონმა თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა და ისე გაბატონდა, რომ მეფის წოდებაც მიიღო; როგორც „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს, მან „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხადმდე. სახელ იდვა მეფე აფხაზი“. რაც შეეხება ქართლს, რომელსაც არაბები განაგებდნენ, მერვე საუკუნის მიწურულს ნერსესა და სტეფანოს გურგენის ძის შემდეგ, აქ ერისთავი აშოტ დიდი ყოფილა. მაგრამ არაბებისგან შევიწროებული იძულებული გამხდარა ქართლი დაეტოვებინა და თავშესაფრის საძებნელად საბერძნეთში წასულიყო, თუმცა ბოლოს არტანუჯში დამკვიდრებულა და ღმერთს მისთვის „შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“ ხელმწიფობა მოუცია.

ამ დროისათვის საქართველოს ეს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი მხარე ტაო-კლარჯეთი გაუდაბურებული და თითქმის დაუსახლებელი იყო, რადგან, ვინც მურვან ყრუს შემოსევას გადაურჩა, ჟამიანობამ იმსხვერპლა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მახლობელთა ქვეყანათა მურვანდნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეეთა შინა ადგილ-ადგილ“ (ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, გვ. 257). აშოტ ბაგრატიონი ენერგიულად შეუდგა ზრუნვას მხარის ხელახლა მოშენებისა და ახლად დაარსებული სამეფოს გაფართოებისათვის. არაბთა ბატონობის შედეგად შერყეული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის, რაც ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძლიერ სამონასტრო მოძრაობას მერვე საუკუნის ბოლოსა და მეცხრე საუკუნეში. ამ მოძრაობის სათავეში დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი (759-861) იდგა.

„გრიგოლი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-ღვთა“ შვილი იყო და ქართლის მთავრის, ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა. „ქველთა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისათა, რომელსაცა ეძვილა რამელი იყოცა ძმის წული მისი“. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო, როგორც სასულიერო, ასევე საერო: „სადმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა, მწიგნობრობათა ისწავა მრავალთა ენათა“ და „სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა იმწავა კეთილად“. გრიგოლმა ყრმობაშივე გამოამჟღავნა, რომ სასულიერო მოღვაწეობისთვის იყო მოწოდებული. აღმზრდელებისა და მშობლების დაჟინებული იბრძინა იგი მღვდლად ეკურთხა, თუმცა ამ წოდებისათვის თავი უღირსად და მოუხმობლად მიაჩნდა: პატივს ხედავდა და პატიჟისა ეშინოდა. მალე მისი ვახსკების კურთხევაც მოინდომეს, მაგრამ მტკიცე უარი განაცხადა, რადგან ხსენებულ მოღვაწეობა იზიდავდა. ღმერთის წყალობით, თანამოაზრენიც იპოვა: დედის დისწული სანა თეოდორე და ქრისტეფორე. მათ ტაო-კლარჯეთში წასვლა გადაწყვიტეს. სიღ

ქართული სახელმწიფოებრიობა უკვე ფეხს იდგამდა.

დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა მხოლოდ ზნეობრივად მაღალ ერს შეუძლია, რომელიც სულს ხორცზე მაღლა აყენებს და ეროვნული იდეალების გამარჯვებისთვის მზადაა ხორციელი იწროება და მატერიალური გასაჭირი მაღლობით დაითმინოს. უწინარესად ამ თვალსაზრისით სჭირდებოდათ ეროვნულ მოღვაწეებს ეკლესიის გვერდით დგომა, რომლის ძირითად მოვალეობასაც სწორედ ხალხის ზნეობის ამაღლებაზე ზრუნვა წარმოადგენს. ეს კარგად ესმოდა გრიგოლსა და მის თანამოაზრეებს და აქედან გამომდინარე აირჩიეს სამონასტრო მშენებლობისთვის საქართველოს ეს მხარე.

ტაო-კლარჯეთში ჩასულებმა იქ შემორჩენილ ერთადერთ მონასტერს — ოპიზას მიაშურეს, სადაც ორი წელი დაჰყვეს. ამის შემდეგ გრიგოლმა ხანძთაში ადგილი შეარჩია მონასტრის ასაგებად და საქმესაც მაშინვე შეუდგა. მან და მისმა ძმებმა წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობა გამოიჩინეს, როცა სათანადო იარაღების გარეშე, ლამის შიშველი ხელებით მოძავალი ტაძრისთვის საფუძვლის ჩასაყრელად კლდოვანი ადგილი მოასწორეს: „ერთობით ჯუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისთვის ქუეყანისა დაუკებად, რამეთუ კლდჳ იგი ხანცთისაჲ უფიცხლეს არს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა, და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქვ, არცა სხუაჲ ეგვეთარი საკმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა კელთა მათთა“.

ასე აშენდა ხანცთაში თავდაპირველად ხის ეკლესია, სენაკები ძმებისათვის და ერთიც დიდი სენაკი საოსტიგნედ. რაც შეეხება ქვითკირის ეკლესიას, მის ასაშენებლად ბერებს აუცილებლად სჭირდებოდათ მატერიალური შემწეობის აღმოჩენა. ღმერთმა მამა გრიგოლს ამგვარი პიროვნებაც გამოუჩინა სამცხელი ფეოდალის, გაბრიელ დაფანჯულის სახით, რომელიც მაშინვე მიხვდა, როგორი კეთილი შედეგის გამოღება შეეძლო მატერიალურად შეძლებულ ერისკაცთა და სულიერად წარმატებულ სასულიერო პირთა ერთობლივ ძალისხმევას. „აწ ჩუენ თანა არს კორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესე შევზავნეთ ურთიერთას“, — უთხრა მან წმინდა მამას და ფასდაუდებელი შემწეობა გაუწია ხანცთაში ქვითკირის ეკლესიის ასაშენებლად. გაბრიელის თხოვნითა და სახსრებით ააგო გრიგოლ ხანცთელმა მისი გვარის ქალებისათვის დედათა მონასტერი — გუნათლეს ვანი.

მაღე დედათა მეორე მონასტერიც აშენდა მერეში, რომელსაც სამცხიდან მოსული „სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული“ დედა ფებრონია ჩაუდგა სათავეში. გრიგოლ ხანცთელისა და მისი ძმების მოღვაწეობამ აშოტ ბაგრატიონის ყურადღებაც მიიპყრო, რომელსაც კარგად ესმოდა სამონასტრო მშენებლობის მნიშვნელობა ახლად შექმნილი ტაო-კლარჯეთის სამეფოს სულიერად განმტკიცებისა და პოლიტიკური ძლიერებისათვის. მეფე ფეხზე აღგომით შეეგება წმინდა მამას და დალოცვა სთხოვა, ხოლო როცა მისგან მოისმინა, რომ ხანცთის მონასტერს სახნავ-სათესი მამულები უჭირდა, „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა“. ასევე მოიქცნენ აშოტის ძენი — ადარნასე, ბაგრატ და გუარამ, რომელთაც „შესწირეს თითოეულად რაღცა საკმარი მონასტერსა მისსა უკმდა უხუებით“.

შემდეგში გრიგოლ ხანცთელმა ტაო-კლარჯეთის სამეფოს ტახტზე აშოტის მემკვიდრეს, ბაგრატ კურაპალატს შატბერდში მონასტრის აშენების ნებართვა სთხოვა. კეთილმორწმუნე მეფემ არა მხოლოდ ნებართვა მისცა სიხარულით, არამედ ნივთიერადაც შეწია და ისევ და ისევ ხორციელ და სულიერ კეთილთა შეზავების შედეგად სამხრეთ საქართველოს კიდევ ერთი ახალი დიდებული მონასტერი — შატბერდი შეემატა.

ღმერთმა ინება, რომ ხანცთელ მამას თავისი მოღვაწეობის კვალი აფხაზეთში —

დასავლეთ საქართველოშიც დაეტოვებინა. გრიგოლი თევდორესა და ქრისტეფორეს საძებნელად, რომელთაც მონასტრების დამოუკიდებლად მშენებლობის საღმრთო შური აღედრათ და ხანციტიდან მოძღვრის დაუკითხავად წავიდნენ, აფხაზებს წავიდა. სადაც იგი დიდი პატივით მიიღო დემეტრე მეფემ. მან მოკრძალებით სთხოვა წმინდა მამას მოეველოთ „ადგილნი აფხაზეთისანი“ და სადაც მისი სიწმინდე იწებებდა, მონასტერი აეშენებინათ. თავდაპირველად გრიგოლმა იმ მიზეზით, რომ ბერ-მონაზვნობის განძი მარხვაა, ხოლო აქ მარხვა გაუჭირდებოდათ, უარი თქვა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა დაეთმო მეფისათვის, რომელმაც საყვედურით უთხრა: „რა სმართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობად ამის ქუეყანისაჲ“ და „ადამნი მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბც.“

იმავე „საღმრთო შურით“ აღძრულნი თევდორე და ქრისტეფორე მეორედაც წავიდნენ ფარულად ხანციტიდან ქართლისკენ, მაგრამ ამჯერად მოძღვარს მათთვის მონასტრების მშენებლობა აღარ დაუშლია, რადგან ღმრთისგან მიიღო ბრძანება „არაღარა დააბრკოლნეს გულს-მოდგინებისგან მათისა, არამედ თანა-მდგომ ექნეს ვითარსა მას საქმესა“. მამა გრიგოლის დახმარებით შერჩეულ ადგილებში თევდორემ ნუგვის მონასტერი ააგო, ხოლო ქრისტეფორემ — კვირიკე-წმიდისა. უფლის ბრძანებათა საბამ, გრიგოლის დედის დისწულმა, პირვანდელი სახით აღადგინა არაბებისგან დანგრეული იშხნის დიდებული ტაძარი, რისთვისაც მას „იშხნის მეორედ მამულებელი“ ეწოდა.

ეკლესია-მონასტრებისა და იქ დამკვიდრებული ბერმონაზვნობის რიცხვს განრავლებამ მტრისგან განადგურებულ ტაო-კლარჯეთს ახალი სიცოცხლე მიანიჭა. წრფელმა ლოცვა-ვედრებამ და თავდადებულმა უნგარო მოღვაწეობამ დამრუტულ ლამპარი სულიერებისა სასწაულებრივად აღანთო. ვფიქრობთ, უკეთესი შედეგის ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფელ ბერმონაზონთა მოღვაწეობისა, ვიდრე ეს ფრეჯავახიშვილს ეკუთვნის, შეუძლებელია: „უგზო-უკვლო ადგილებში გზები გაკლდა. გაუვალ ტყეებში მშვენიერი შენობები აიგო, დიდებული ნანგრევები, მიტოვებულ ციხე-ქალაქები და ეკლესიები განახლდა. გასაოცარი მოვლენა კი არის, მაგრამ საზღვილი ამბავია, რომ სწორედ ეს ქვეყნისგან ლტოლვილნი, ცოდვილი ცხოვრების უარყოფელნი ბერები, „უდაბნოთა ქალაქყოფელნი“, იყვნენ ერისკაცთათვის გზის მაჩვენებელნი და ახალ მოშენეთა თავგანწირულნი წინამორბედნი.

თუ გავიხსენებთ, რომ VIII-IX ს. სამცხე, შავშეთ-კლარჯეთ-ტაო და მესხეთს უმეტესი ნაწილი თითქმის სრულებით უკაცრიელი იყო და „უშენებელ მცირელ სოფელთასა“, IX-X ს. — კი იქ უკვე მრავალი მონასტრები და ეკლესიები აშენდა. უდაბურს, უტყვეს ქვეყანაში ადამიანთა ცხოველი სიტყვა გაისმა, დაბა-ქალაქების მოიფინა, მიუდგომელ ადგილებზე მონაზონთა და ახალშენთა მედგარის შრომის წააღობით ნახნავები გაკეთდა და მშვენიერი მტილ-ვენახები გაშენდა, მაშინ ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება ის დიადი ღვაწლი, რომელიც ჩვენ ბერებსა და ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოს წინაშე მიუძღვის. ამ მოძრაობის მოთავენი და მთავარი მოღვაწენი შეუდრეკელის ხასიათისა და ნების პატრონები იყვნენ, გასაოცარს მხნეობით აღჭურვილნი, თავგანწირულის სულისკვეთებით აღფრთოვანებულნი. მიუღვიოდათ გულში იმგვარი „მდუღარება სულისაჲ“, რომელიც ადამიანს ვნებლად ხდის და მის მოღვაწეობას მომხიბლავ მშვენიერებას ანიჭებს, არა ერთხელ ამოუღებს ხოლმე მას განზრახული საქმისათვის „დადებად სულისა“, ახალ გზას და მიმართულებას აძებნინებს და იწვევს „უღაღათა და უვალთა გზათა სლვად“ („ქართული ერის ისტორია“, ტ. II, 1983, გვ. 117-118).

სწორედ მოთავეთა და მთავარ მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ გრიგოლ ხანელი

ლი, სერაპიონ ზარზმელი, ზარზმის მონასტრის ფუძემდებელი, მიქაელ პარეხელი, საბა, დიდებული იშხნის მეორედ მაშენებელი, დავით მიძნადორელი, ილარიონი, წყაროსთავის აღმშენებელი და მრავალი სხვა.

თავგანწირულმა მოღვაწეობამ და ეკლესიისა და ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილმა განუზომლად დიდმა წვლილმა ბერმონაზვნობას დიდი პატივი და სულიერი დიდება შესძინა და თეთრ, სამრევლო სამღვდელოებაზე ძალდა დააყენა. „სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა კელმწიფებასა ქუეშე არიან“-ო, უთხრა წმინდა გრიგოლმა დემეტრე მეფეს, ოღონდ **სარწმუნონი და ჭეშმარიტნი** და არა ყოველნიო. სარწმუნო და ჭეშმარიტი მონაზონი კი უწინარესად თვითონ ხანცთელი მამა ბრძანდებოდა. სწორედ ამიტომ გაიმარჯვა მან ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე, სადაც არსენის კათალიკოსობიდან გადასაყენებლად ეპისკოპოსთა დიდი სიმრავლე იყო შეკრებილი და მათ მხარს ბაგრატ კურაპალატის ძმა, გუარამ მამფალიც უჭერდა. შეკრებილნი დელავდნენ და „ვერა დაამტკიცნეს სიტყუად მათი“. მაშინ ერუშელმა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ეს საქმე არქიმანდრიტი გრიგოლის გარეშე ვერ გადაწყდებოდა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულაფი იგი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვად ყოველთაჲ“. წმინდა მამამ მხარი არსენს დაუჭირა, რადგან ხანცთის ძმობაში აღზრდილს კარგად იცნობდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ქართულ ეკლესიას მისი სახით ღირსეული მესაჭე ჰყავდა. ეპისკოპოსთაგან ვერავინ გაბედა წინააღმდეგობა გაეწია წლებითა და სათნოებით აღმატებული ხანცთელი მამისათვის და არსენი, რომელსაც გიორგი მერჩულე მცხეთის ტახტის დაუჭკნობელ გვირგვინს უწოდებს, კათალიკოსად დარჩა.

უმწიკვლო ცხოვრება და უანგარო მოღვაწეობა გრიგოლ ხანცთელს ძალას აძლევდა უზნეო საქციელისათვის თვით მეფეც კი ემხილებინა. როცა აშოტ კურაპალატმა არტანუჯის ციხეში დედოფლის გვერდით სიძვის დიაცი მოიყვანა, წმინდა მამამ იგი მოურიდებლად ამხილა. მეფემ მართლისაგან მხილებას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და შეჰპირდა, რომ ქალს სასახლიდან გაუშვებდა, მაგრამ გონებით გულისთქმა ვერ დაიმორჩილა და მიცემული სიტყვა ვერ შეასრულა. მაშინ მამა გრიგოლმა გაბედული ნაბიჯი გადადგა და აშოტის არტანუჯში არყოფნისას სიძვის დიაცი მერეს დედათა მონასტერში წაიყვანა. მერეს დედათა მონასტრის წინამძღვარს, ფებრონიასაც ზნეობრივმა სიწმინდემ მისცა ძალა წინ აღდგომოდა აშოტ კურაპალატს, რომელმაც მონასტრიდან სატრფოს წაყვანა მოტყუებით მოინდომა და მკაცრი პასუხი გაეცა მისთვის. მართალია, იმ წუთებში სირცხვილჭმულმა მეფემ სიკვდილი ინატრა, მაგრამ, როცა დამშვიდდა და „ვნებაჲ კორცთმოყვარებისაჲ განეშორა“, სულით იხარებდა და მადლობდა მამა გრიგოლს და დედა ფებრონიას, რომელთაც მისი სული წარმწყმედელი ცოდვისაგან იხსნეს.

სულიერი და ხორციელი ღვაწლით განმტკიცებული და ამაღლებული სამღვდლოება არავის აძლევდა უფლებას მის საქმეებში ჩარეულიყო. გუარამ მამფალს, რომელიც არსენის კათალიკოსობიდან გადაყენებისათვის ისე მოწადინებული იყო, რომ გრიგოლ ხანცთელს შეპასუხება გაუბედა, წმინდა მამამ ეკლესიის საქმეებში ჩარევა „შჯულისა და მღვდელთ-მოძღუართა შეურაცხებად“ ჩაუთვალა, რადგან ამას საეკლესიო კანონი კრძალავდა.

გუარამი მაინც არ დაცხრა და კრების შემდეგ შინ მიწვეულ ეპისკოპოსებს ღვინით განმხიარულებულმა ჰკითხა: ვინმე ერისკაცს, საღმრთო წიგნთა მეცნიერსა და ენათა მცოდნეს, იერუსალიმში ან სხვა წმინდა ადგილას, ქრისტიანობის დამამშვენებელი, მაგრამ ქართველთათვის უცნობი რაიმე კეთილი წესი რომ ეხილა და თავისი ხალხისთვის ესწავლებინა, კარგი იქნებოდა თუ არა. პასუხად ეპისკოპოსებ-

მა განაცხადეს, რომ „ტვირთი შჯულისაი და წესი ქრისტიანობისაჲ, რომელ ჯ ქუეყანასა ჩუენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს“-ო, მაგრამ თუ ერისკაცი მაინცადამაინც რაღაც კეთილ წესს ნახავდა, მას უწინარესად დუმილს ურჩევდნენ, ხოლო უკეთუ დუმილს ვერ შეძლებდა, თვითონ კი არ უნდა ექადაგა, არამედ თავისი ეპისკოპოსისთვის უნდა ეუწყებინა და თუ იგი საჭიროდ ჩათვლიდა, სამწყსოს თვითონ უქადაგებდა.

ვითარცა ღვარძლი იფქლთა შორის, ასე გამოჩნდა წმინდა ღმრთისმსახურთა შორის უკეთური ცქირი, საჰაკ ამირასაგან ტფილისს აღზრდილი, რომელმაც, როცა მისი ეპისკოპოსი გარდაიცვალა, „მძლავრებით დაიპყრა“ ანჩის საყდარი. ცქირმა „კვალად შესძინა ძვირი ძვირსა მისსა ზედა მრავალი“, რის გამოც კლარჯეთის მეუღაბნო მამებმა, განსაკუთრებით კი წმინდა გრიგოლმა, მრავალგზის ამხილეს, მაგრამ უშედეგოდ. ამპარტავენებისგან ძლეულმა ეპისკოპოსმა ღმრთის შიში სრულიად დაეიწყო და მამა გრიგოლის მოსაკლავად ერთი ანჩელი კაცი მოიხდია. მკვლელი, რომელიც კარგი მოისარი იყო, ხანცთელ მამას მართლაც ჩაუსაფრდა, მაგრამ როცა იხილა მომავალს ცამდე აღწევნული ნათლის სვეტი როგორ ფარავდა, ზარი დაეცა, მიწაზე დავარდა და შენდობა სთხოვა.

ცქირის უზნეობით შეწუხებულმა „ყოველთა მათ მოწყესთა ანჩისა კათალიკე ეკლესიისათა“ მის უწყესობათა შესახებ ქართლის კათალიკოსს წერილი მიწერეს. კათალიკოსმა ანჩში საქმის გასარკვევად ღირსნი ეპისკოპოსნი წარმოგზავნა. კრებაზე, რომელსაც მეუღაბნო მამებიც ესწრებოდნენ, მღვდელთმოდღუართა ცქირი ეპისკოპოსობისგან განკვეთეს, მაგრამ მან თავის პატრონს, საჰაკ ამირას მიაშურა და ანჩის ტახტი კვლავ მძლავრებით დაიპყრო. გათავხედებულმა ცქირმა მამა გრიგოლზე შურისძიების მიზნით ანჩის ერი შეკრიბა და ხანცთის მონასტრის დასანგრევად წარუგზავნა. ისინი ტაძარს მზის ამოსვლისას მიადგნენ. მამა გრიგოლმა სთხოვა შეადგნენ ედროვებინათ, რათა ბერებს მაცხოვრის წინაშე ელოცათ და წმინდა გიორგისათვის, ვის სახელზეც ხანცთა იყო აგებული, შემწეობა ეთხოვთ. უფალმა წმინდა მამების ცრემლით ვედრება შეისმინა და ანგელოზის მიერ აუწყა მათ, რომ ბოროტ მტერზე საღმრთო შურისძიებამ მოაწია. მართლაც მოვიდა კაცი, რომელმაც ტაძარს დასანგრევად შეკრებილებს უთხრა: „ნუღარა იკადრებთ დარღუვად დიდებულს ხანცთასა, რამეთუ დამრღუეველი მაგისი მოკუდა“. ასე იხსნა ღმერთმა წმინდა გიორგის მეოხებით ხანცთის მონასტერი ბოროტი კაცისაგან წაქეზებული გონდაკარგული ადამიანების ხელყოფისაგან.

საბედნიეროდ, იმ პერიოდის ქართულ ეკლესიაში, რომელიც ჭეშმარიტად აღმშენებლობის გზაზე იდგა, ცქირი გამონაკლისს წარმოადგენდა. ჩვენს ეკლესიას მრავალი გამოჩენილი მწერლის, ისტორიკოსის თუ მთარგმნელის თავდაუზოგავი მოღვაწეობა ამკობდა. ქართულ მეცნიერებაში თითქმის უეჭველობადაა მიჩნეული ის ფაქტი, რომ ჰიმნოგრაფიაში წვლილი თვითონ გრიგოლ ხანცთელსაც შეუტანია. ამ დასვენებას გამოტანის შესაძლებლობას იძლევა გიორგი მერჩულის სიტყვები, რომელმაც მამა გრიგოლთან დაკავშირებით ამბობს: „აჲ არს ხანცთას ჰელითა მისითა დამრღუეველსა სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოდ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად ვალდარიან“. როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, იადგარი ანუ მთელი წლის ლიტურჯული ჰიმნები, გრიგოლს სულიწმიდის შთაგონებით შეუთხზავს. მართალია, წმინდა მამის ხელიდან გამოსულ საგალობელთა ამ კრებულს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მათი ნაწილი მიქელ მოდრეკილის იადგარშია შესული.

გრიგოლს შეუდგენია, აგრეთვე, ქტიტორული ტიპიკონი თავისი მონასტრისათვის. რისთვისაც საბაწმიდისა და კონსტანტინეპოლის მონასტერთა წესდებანი გამოუ-

ენებია. როგორც გიორგი მერჩულე წერს, ეს ტიპიკონი ყოფილა „სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასვ დაულევნელთა კეთილთა“.

გიორგი მერჩულე ასახელებს რამდენიმე მწერალს, რომელნიც მეცხრე საუკუნის ბოლოს და მეათე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდნენ და რომელთაგანაც საზოგადოება გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერას მოელოდა, მაგრამ ისე გარდაიცვალნენ, რომ ამ საქმისთვის ხელი არ მოუკიდიათ. ესენი იყვნენ: სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარჭელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი. ცნობილია, რომ გრიგოლის მოწაფეთაგან ერთ-ერთს, ვინმე მაკარის, რომელიც სამოღვაწეოდ პალესტინაში წასულა, 864 წელს საბაწმიდის ლავრაში შესანიშნავი მრავალთავე გადაუწერია, რომელიც დღეს სინას მთაზე ინახება. დაახლოებით მე-10 საუკუნის ოციანი წლების ბოლოს შეიქმნა ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას მართლაც რომ ამშვენებს და ბოლოს, X ს. პირველ ნახევარში მოღვაწეობდა თვითონ გიორგი მერჩულე, ხანცთელი ბერი, ვინც თავს იღვა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერა და ისეთი ლიტერატურული ძეგლი შექმნა, რომელიც თავისი ღირსებებით ტოლს მსოფლიო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის თვით ყველაზე გამორჩეულ თხზულებებსაც არ უდებს.

საკლესიო მწერლობის აღმავლობის ერთი ძირითად მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ, არაბების ბატონობის მიუხედავად, საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც ამას „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ გვიდასტურებს, მაღალ დონეზე მდგარა. ახალგაზრდებს, როგორც სასულიერო, საღმრთისმეტყველო, ასევე საერო, ფილოსოფიური განათლების მიღებაც შეეძლოთ. ისწავლებოდა უცხო ენებიც. ნაწარმოებში მოხსენიებულია „დაბეჭდულნი“ წიგნნი ძველისა და ახლისა სჯულისანი და „დაუბეჭდველნი წიგნნი წმიდათა მოძღვართა თქმულნი აღურაცხელნი“. განათლებული საზოგადოებისთვის ცნობილი ყოფილა თხზულებანი ეფრემ ასურისა, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კირილე ალექსანდრიელისა, იპოლიტე რომაელისა, ცხოვრება ბაგრატ ტავრომენიელისა და იოვანე ოქროპირისა.

ამ პერიოდის ქართული ეკლესიის განმტკიცებასა და გაძლიერებაზე ახალი საეპისკოპოსოების — სამღვდელმოდუროთა დაარსებაც მეტყველებს. ბაგრატ კურაპალატმა საეპისკოპოსო იშხანში შექმნა და მისი პირველი ეპისკოპოსი ამ ტაძრის „მეორედ მაშენებელი“ საბა გახდა. ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა შავშეთში ტბეთი აღაშენა, რომლის პირველი ეპისკოპოსიც სტეფანე მტბევარი იყო. დავით კურაპალატის ძემ, აღარნასემ (887-923) ბანა აღაშენა, სადაც ეპისკოპოსობის პატრიარქალად კვირიკე ბანელს ხვდა წილად, აფხაზთა მეფე გიორგიმ ახალი საეპისკოპოსო ჭვონდიდში დააარსა და ა.შ.

ამავე ხანებში, კერძოდ, 843-859 წლებში, ქართული ეკლესიის ისტორიაში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა. აწყურის ეპისკოპოსმა ეფრემმა, გრიგოლის მოწაფემ და ხანცთის ძმობაში აღზრდილმა, იერუსალიმის პატრიარქის თანხმობით ქართლს განაწესა კურთხევა მირონისა, რომელიც მანამდე „ადმოსავლეთისა კათალიკოსთა იერუსალჴმით მოჰყვანდა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესია იერუსალიმის საპატრიარქოსაგან დამოკიდებული უკვე აღარც ამ მიმართებით იყო.

ყურადღებას იქცევს თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეთა და, საერთოდ, ქართული ეკლესიის ეროვნული სულისკვეთება. ღმრთის მსახურნი სამშობლოს სამსახურსაც თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ და მამულის ერთგულ მეფე-დიდებულებს

მხარში ედგნენ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში, რომლის სიმტკიცე დიდადაა დამოკიდებული ხელისუფლების ცენტრალიზაციასა და სიმტკიცეზე. სწორედ ეს სიმტკიცე უსურვა წმინდა გრიგოლმა აშოტ ბაგრატიონსა და მის შთამომავლობას, როცა დალოცა: „არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფრომს კლდე მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“.

თხზულების ეროვნულ სულისკვეთებას ერთგვარად აგვირგვინებს საქართველოს მთლიანობის იდეა, რომელიც გამოკვეთილად ქართულ მწერლობაში პირველად გიორგი მერჩულემ ჩამოაყალიბა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ჟამი ქართულითა ენითა შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“. როგორც ვხედავთ, X საუკუნის ავტორის მიერ უკვე დასახელებულია ის სამი ცნება: მამული, სარწმუნოება და ენა, რომელიც მე-19 საუკუნეში წმინდა ილია მართლმადიდებელი ეროვნული იდეოლოგიის ქვაკუთხედად გამოაცხადა.

წმ. გრიგოლ ხანცთელი 102 წლისა გარდაიცვალა, 861 წელს. დიდი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწის ცხოვრება გიორგი მერჩულემ მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, 951 წელს დაწერა.

ახლა რამდენიმე სიტყვით იმის შესახებ, შეეხო თუ არა ხატომბრძოლის ერთ-ერთი ქართულ ეკლესიას, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (725-843) მძვინვარებდა ბიზანტიის ეკლესიაში. არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში ხატები და მათი თაყვანისცემა, როგორც კერპთაყვანისმცემლობის აკრძალული იყო, არ მოგვეპოვება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში საქართველოს ეკლესია აღმოსავლეთში ერთადერთი იყო, რომელსაც ხატების თაყვანისცემა არ უარუყვია.

ის ეკლესიები, რომლებიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხატების წინააღმდეგ გალაშქრებაში არ ეთანხმებოდნენ, ბუნებრივია, ახალ ეპისკოპოსთა ბიზანტიან ხელთდასხმაზე უარს ამბობდნენ და საეპისკოპოსოდ შერჩეულ პიროვნებას იმ ეკლესიაში გზავნიდნენ, რომელიც ხატთაყვანისმცემლობის ტრადიციის დამცველი იყო. ასე მოქცეულან, მაგალითად, გუთები. მათ მიერ საეპისკოპოსოდ გამორჩეული იოანე ჯერ საბერძნეთში წასულა, მაგრამ გასაგები მიზეზის გამო, უკურთხებელი დაბრუნდა; მერე იგი იბერიაში წარუგზავნიათ და ხელთდასხმა მისი კათალიკოსისაგან მოუღია. ამ ფაქტის შესახებ თვითონ იოანე გუთელის ბერძნული ცხოვრება მოგვითხრობს. ეს თხზულება კარგად ყოფილა ცნობილი ქართული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელისათვის და მარჯვედაც გამოუყენებია ანტიოქიის სამღვდლო ბასთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობაზე გამართულ კამათში. სახელობრ, მას ანტიოქიის პატრიარქისთვის უთქვამს: „იყო ჟამი, რომელ ყოველსა სხვანეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოვებოდა. და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სენაქსარსა“.

ცნობილია, რომ მეშვიდე საუკუნეში ლაზიკაში ფაზისის მეტროპოლი და აფხაზეთის საეპისკოპოსო კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში შედიოდნენ, მაგრამ შემდეგში სამეგრელოცა და აფხაზეთიც ქართლის კათალიკოსის და პატრიარქის სამწყსოს შეუერთდნენ. ზუსტად როდის მოხდა ეს შეერთება, დადგენილი არ არის. მაგრამ, როგორც იოანე ჯავახიშვილი ფიქრობს, იგი მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში მაინც უნდა მომხდარიყო, რადგან გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქს ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის ანუ თვითმწყსობის დასამტკიცებლად ასეთი საბუთიც მოუტანა: „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სანთის ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნაკურთხა“.

წოდების“. ბუნებრივია, გიორგი მთაწმინდელის დროს აფხაზეთის საეპისკოპოსო საქართველოს ეკლესიის შემადგენელი ნაწილი რომ არ ყოფილიყო, იგი ამ ფაქტს საბუთად ვერ მოიტანდა, რადგან ეტყოდნენ: სიმონ კანანელის აფხაზეთში დასაფლავება თქვენთვის არაფერს ნიშნავს, რადგან აფხაზეთი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეკუთვნის და არა მცხეთის საკათალიკოსო საყდარსო.

დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების შეერთება, შესაძლებელია, VII-IX საუკუნეებში მოხდა, როცა ბიზანტიის საპატრიარქოებს ხატომბრძოლი პატრიარქები განაგებდნენ. აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა მცხეთაში ხელთდასხმისათვის თვით გუთების შორეული ქვეყნიდანაც კი მოდიოდნენ, რა გასაკვირია, რომ ლაზიკის მიტროპოლიტსა და აფხაზეთის არქიეპისკოპოსსაც ხელთდასხმა ქართლის კათალიკოსისაგან მიეღოთ.

**ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება
საანდინავიის ძველში. მეფე ალფრედი ინგლისში.
ქრისტიანთა ღვინა მსაპანეთში**

როცა კარლოს დიდმა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ საქსონებისათვის ხელისუფლებასა და რომის ეკლესიას დაუმორჩილა, სხვა ტომების დამორჩილებაც გადაწყვიტა, რომელნიც ახლანდელი გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ბალტიისპირეთი, ელბისა და ოდერის სანაპიროები, ახლანდელი გოლშტინია და მეკლენბურგი სხვადასხვა სლავური ტომით იყო დასახლებული, რომლებიც გერმანელებსა და დანიელებს შეერივნენ. მათ შორის მუდმივად მტრობა ღვიოდა და განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ მხარეში ქრისტიანობის გასავრცელებლად კარლოს დიდმა პამბურგში საეპისკოპოსოს დაარსება განიზრახა, მაგრამ განზრახულის შესრულება ვერ მოასწრო, თუმცა ეკლესია მაინც გახსნა და მღვდელიც დაადგინა. ასე დაედო ამ რეგიონში დასაბამი სახარების ქადაგებას.

ლუდოვიკო ღმრთისმოსავის დროს დანიელმა პრინცმა გარალდმა, რომელსაც ტახტს ნათესავი ედავებოდა, დახმარება ფრანკებს სთხოვა და მეტოქე მათი დახმარებით დაამარცხა. ასე დამყარდა მათ შორის მეგობრული ურთიერთობა, რის შედეგადაც ლუდოვიკომ 822 წელს ირლანდიაში ელჩობა წარგზავნა, რომელსაც სათავეში რეიმსის მთავარეპისკოპოსი ებო და გალიტგარი, რომელიც შემდეგში კამბრეის ეპისკოპოსი გახდა, ედგნენ. ისინი შეეცადნენ, რომ გარალდი ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისათვის განეწყოთ, მაგრამ მან ხალხის მღვდღვარების შიშით ნათლობის მიღებაზე უარი განაცხადა, თუმცა ეპისკოპოსებისათვის მათი მონათვლა, ვინც ქრისტეს ირწმუნებდა, არ დაუშლია. ელჩებმა დანიელთა შორის ცოტა ხანი დაჰყვეს და ისე რომ დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, სამშობლოში დაბრუნდნენ. დანიაში წარმოშობილმა ახალმა შფოთმა გარალდი ისევ აიძულა დახმარება ლუდოვიკოსათვის ეთხოვა. 826 წელს ასმა ხომალდმა მეფე გარალდი ოჯახსა და მრავალრიცხოვან ქვეშევრდომთა — დანიელებსა და ნორმანებთან ერთად მაინცში მიიყვანა, სადაც იმპერატორი იმყოფებოდა. მეფემაც და მისმა მხლებლებმაც იმპერატორისა და დედოფლის თანდასწრებით, რომლებიც დანიელი სამეფო წყვილის ემბაზიდან მიმრქმელები — ნათლიები იყვნენ, წმიდა ნათლობა საზეიმოდ მიიღეს. მიუხედავად ამისა, ძნელი საფიქრებელია, რომ დანიელებმა, რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ, მისი ჭეშმარიტება მართლაც ირწმუნეს. მათ მიერ გადადგმული ნაბიჯის ძირითადი მიზეზი ალბათ მაინც ის იყო, რომ მათ მეფეს იმ-



საქართველოს ეკლესია X-XI საუკუნეებში

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის მისი ერთგული შვილებიდან დიდ ძალისხმევასა და თავშეწირულ მოღვაწეობას მოითხოვდა, რადგან ქვეყანას გარეშე მტერთა თავდასხმებზე არანაკლებ შინააშლილობა აუძლურებდა. დიდებულ აზნაურებს, რომლებიც თავიანთი სამფლობელოების დამოუკიდებლად მართვას იყვნენ მიჩვეულნი და ცენტრალიზებული სახელმწიფო, სათავეში მეფით, გულზე დიდად არ ეხატებოდნენ, მასთან დასაპირისპირებლად ძალაც საკმარისად შესწევდათ, რადგან ყოველ მათგანს ერთგული ყმებისაგან შედგენილი შეიარაღებული რაზმი ჰყავდა. პირადი კეთილდღეობისა და განდიდების ვნებით შეპყრობილნი საქვეყნო ინტერესებს ადვილად იფიწყებდნენ და ერთმანეთთან და მეფესთან დაპირისპირებულნი ძმათა სისხლისღვრასაც არ ერიდებოდნენ.

მოკლედ, „ქვეყანას დაწყნარება არა აქუნდა“; ამიტომ ქართული ეკლესიის უცხოეთში მოღვაწე მსახურებისთვისაც კი უპირველესი საზრუნავი მამული იყო. „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარე-მიქცევისა, ტყვეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა, ქრისტიანობის დამტკიცებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“, — მხურვალედ ლოცულობდნენ ქართველი ბერები სინას მთაზე.

მაგრამ საბედნიეროდ, საქართველოს ისეთი შვილებიც ჰყავდა, რომელნიც სამშობლოს პოლიტიკური და კულტურული დაწინაურებისათვის თავს არ ზოგავდნენ. X-XI საუკუნეებში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი საკუთარი წარმოშობის, ისტორიის, მეობის შესწავლა-შეცნობისა. ეროვნული თვითშემეცნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა ეკლესიამ. როგორც უკვე ვნახეთ, X საუკუნეში სწორედ მის წიაღში ჩამოყალიბდა ეროვნული იდეოლოგია, რომელიც მამულის, ენისა და სარწმუნოების მსახურებას გულისხმობდა. ამ ეროვნული იდეალების ჭეშმარიტი მსახურებისათვის კი ერის სულიერი დაწინაურება და მისი კულტურული ღონის ამადღება იყო საჭირო, რაშიც სრულიად განსაკუთრებული წვლილი უცხოეთში დაარსებულმა ქართულმა მონასტრებმა და იქ მოღვაწე თავდადებულმა ბერებმა შეიტანეს. მათგან უწინარესად ათონის მთის ქართული მონასტერი, ივირონის და მისი დამაარსებელი იოვანე და თორნიკე უნდა მოვიხსენოთ.

შთამომავლობით იოვანე ტაოელ წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა და დავით კურაპალატის მთავართა შორის „საჩინო“ და მეფის საყვარელი პირი იყო. „მხნე და ახოვანი, განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისათა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისკმისყოფითა და საჯსე შიშითა ღმრთისათა“... იოვანემ, რომლის გულშიაც „ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისაჲ მძაფრად აღეტყინა“, ამა სოფლის დიდება „ნაგვეად შეპრაცხა“, ცოლ-შვილი, მონ-

აგები და სიმდიდრე დატოვა და ოთხთა ეკლესიის დიდებულ ლავრაში ბერად შედგა. მაგრამ როცა მოღვაწეობით სახელი გაითქვა, დიდებისათვის თავის არიდების მიზნით საბერძნეთში წავიდა და ულუმბოს მთაზე დამკვიდრდა. ამ დროისათვის ბერძენთა იმპერატორმა დაუთმ კურაპალატს „ზემონი ქუეყანანი მისცნა“ და მძევლებად აზნაურთა შვილები მოითხოვა. მძევალთა შორის იოვანეს ვაჟი ექვთიმეც აღმოჩნდა. როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, იოვანე კონსტანტინეპოლში ჩავიდა, სიმამრი და ცოლისძმები ინახულა, რომელნიც მძევლებს ჩამოჰყვნენ და უსაყვედურა, რომ მცირეწლოვანი ექვთიმე, „ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეს“. მან იმპერატორისაგან ნებართვა მიიღო და შვილი ულუმბოს მთაზე წაიყვანა. რადგან იოვანეს არც ქართველთაგან და არც ბერძენთაგან მოსვენება აქაც არ ჰქონდა, შვილი და რამდენიმე მძვინვარე წაიყვანა და ათონის წმინდა მთაზე ათანასე დიდის ლავრაში დამკვიდრდა.

ათონის მთას სამოღვაწეოდ მეორე ტაოელმა დიდებულმა, დაუთმ კურაპალატის სამეფო კარზე ასევე წარჩინებულმა სამხედრო პირმა, თორნიკე ერისთავმაც მამურა. მალე მათი საქმენი საქვეყნოდ განითქვა და „იწყეს მიერთგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად“. მაშინ წმინდა მამებმა ათანასეს ლავრისაგან მოშორებით „წმიდისა იოვანე მახარებლისა ეკლესიაჲ ალაშენეს და სენაკები“, სადაც მკვლელობებზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

ამ დროს საბერძნეთის მცირეწლოვან უფლისწულებს — ბასილსა და კონსტანტინეს დიდი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი განუდგა და თვით დედაქალაქს დაემუქრა (979). დედოფალმა თეოფანიამ გადაწყვიტა დახმარება დაუთმ კურაპალატისთვის ეთხოვა და საქართველოში მოციქულად იოვანე თორნიკე-ყოფილი წარმოგზავნა. დეითმა 12 ათას ქართველ მხედარს თვითონ თორნიკე უსარდლა, რომელმაც „შენწინათა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიტყა“.

როცა გამარჯვებული თორნიკე ათონის მთაზე „კუალად მიიქცა ურიცხვითა სიღისითა და განძითა“ (ბრძოლის ველზე მოპოვებულ ნადავლს დედოფლის ძღვენიც დაუტოვა), ქართველმა მოღვაწეებმა მიწა შეიძინეს: „იპოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწარისა და ალაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობლისა სახელს ზედა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისა“ თანამემამულეებისათვის „ფრიადთა ოფლითა და ღუაწლითა“. მონასტრის შენება 980 წელს დაიწყო და 983 წელს დამთავრდა და ივირონი, როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ, ათონის მთაზე სულიერების ერთი გამორჩეული კერა გახდა. მისი პირველი წინამძღვარი იოვანე იყო, რომელიც ათონის მთაზე მოღვაწეთა შორის იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ათანასე დიდმა თავისი ლავრის ზედამხედველად (ეპიტროპად) დანიშნა. მას თვით საბერძნეთშიც დიდი პატივით ეპყრობოდნენ, რასაც 984 წელს დაწერილი ათანასე დიდის სიგელიც გვიდასტურებს, საიდანაც ვიგებთ, რომ ივირონის წინამძღვარს ათონის მთის ინტერესები მრავალჯერ წარმატებით დაუცავს იმპერატორის კარზე.

როგორც აღვნიშნეთ, უხცოვანთა მოღვაწე წმინდა მამების საზრუნავი მხოლოდ საკუთარი სულის ცხოვება არ ყოფილა. მათი უპირველესი შესავდრებელი ღმრთისათვის სამშობლო და მისი კეთილდღეობა იყო. სწორედ ეროვნულ ინტერესებს თვალისწინებდა იოვანე, როცა ექვთიმე მთარგმნელად გამოზარდა. ჯერ კიდევ ულუმბოს მონასტერში მოღვაწეობისას მან შვილს საფუძვლიანად შეასწავლა ქართული ენა. ხოლო შემდეგ ბერძნულიც და მოღვაწეობის მიზნად უმდიდრესი ბერძნული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მშობლიურ ენაზე გადმოღება დაუსახა: „შვილი ჩემო ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი და ლიან და ვხედავ, რომელ ღმერთს მოუძადლებია შენდა; აჲ იღუაწე, რათა განმრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“.

ამ დიდ საქმეში შემწედ და მფარველად ექვთიმეს თვითონ ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი გამოუჩნდა. ყრმას, რომელიც უცხო გარემოში იზრდებოდა, მშობლიურ ენაზე ლაპარაკი უჭირდა, რასაც მამა დიდად განიცდიდა. ერთხელ, როცა ექვთიმე მძიმედ გახდა ავად, ღმრთისმშობელი გამოეცხადა და „ქართულითა ენითა“ ჰკითხა: „რამ არს, რამ გელმის ექვთიმე?“ „მოკუდები, დედოფალო“ — უპასუხა ექვთიმემ. „არარამ არს ვნებაჲ შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“, — უთხრა ღმრთისმშობელმა და მართლაც, „მიერთგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროდ, აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“.

იოვანეს არა მხოლოდ დიდი გავლენა ჰქონდა შვილზე, არამედ ხელსაც ყოველმხრივ უწყობდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ექვთიმემ „უმრავლესნი წიგნთაგანნი თარგმნა, ვიდრეღა მამაჲ მისი იოვანე ცოცხალ იყო“.

ქართველ მოღვაწეთა ეროვნული გრძნობების გაღვივებას უცხო გარემოში ყოფნამ და მათ მიმართ ბერძენთა ქედმაღლურმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი. ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ამბიციები ქართველებს, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ, დიდი ხანია კარგად მოეხსენებოდათ, მაგრამ ბატონობისა და სხვისის მითვისების სურვილს თუ ბერძენი ბერ-მონაზვნებიც ასე მძაფრად გამოავლენდნენ, ძნელად წარმოსადგენი იყო. ათონის მთიდან ქართველი ბერების გაძევებისა და მათი მონაგების დაპატრონებისთვის ბერძენები ყოველგვარ საბაბს იყენებდნენ. ამასთან დაკავშირებით ქართული ეკლესიის მნათობი, ასევე ათონის მთაზე მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება აღგვიწერა, წერს: „... არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა... დღეს არცამცა ერთი ქართველი არ იპოვების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლაერასა შინა, რომელი ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენტაჲთა ჩუენ ქართუელთათჳს აღშენებელ იყო და აღმართებულ“... და აგრძელებს: „დიდსა ჭირსა ვიყვენით და საწუნელ და სამულებელ მათდა და თითოეულად არც თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქუმაჲ რამდენნი გინებანი, რამდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწოდეს მათ მიერ ჩუენზედა დღითი დღე, და ცემითა და გუემითა და მწვალებლად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით. და ესეცა ენება, რათამცა სახელი მაშენებელთაჲ აღმოცოცეს“.

მაგრამ ქართველ მოღვაწეებს, კერძოდ, იოვანესა და მის ვაჟს ექვთიმეს, მხედველობიდან არც ის გამოპარვიათ, რომ უმდიდრესი საღმრთისმეტყველო ლიტერატურის პატრონ ბერძენებს მათთან ქედმაღლური დამოკიდებულებისა და მწვალებლებად მოხსენიების საბაბს ქართულ ენაზე ყოველმხრივ გამართული საღმრთისმეტყველო თხზულებათა ნაკლებობა აძლევდა. რადაც არ უნდა დაჯდომოდით, ამ ხარვეზის ამოვსება იყო საჭირო და ღმრთის შემწეობის სასოებით არც ერთ მუჭა ქართველ ბერებს შეშინებიათ იმ დიდი უპირატესობისა, რომელიც უძველესი, მოციქულთადროინდელი ტრადიციების დამცველსა და მრავალფეროვანი საეკლესიო მწერლობის მქონე ბერძნულ ეკლესიას ჰქონდა მათთან შედარებით. გათანაბრებისთვის ორი რამ იყო საჭირო: 1. ქართული მწერლობა ბერძნულ-რომაულს არ ჩამორჩენოდა და 2. ძველი ქართული საეკლესიო წესები ბერძნულთან შეთანხმებულიყო და ქართულად უკვე თარგმნილი წიგნები ბერძნულ დედნებთან შეჯერების საფუძველზე გასწორებულ-შეგსებულიყო, რათა „უცხოელთ არავითარი საბუთი არ ჰქონოდათ მწვალებლობის სამარცხვინო სახელი ეწოდებინათ ქართველებისთვის და სამშობლო მწერლობაში არავითარი „ღვარძლი“ აღარ შერჩენილიყო და სპეტაკი, ანკარა წყარო საქრისტიანო სარწმუნოებისა საქართველოში აუძღვრეველად დენილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, გვ. 174).

საბედნიეროდ, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაცხოველების საჭიროებას საქართველოშიც კარგად გრძობდნენ და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეებს, ხანაც სიტყვიერად და ხანაც წერილობით უთვლიდნენ, განსაკუთრებით სწრაფად რა უნდა ეთარგმნათ „ზედადსზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარცმდეს. და იგი სანატრელი (ექვთიმე) შეუსუენებლად თარგმნინ... და მრავალნი წიგნი წარსცნეს წინაშე დავით კურაპალატისა“.

ივირონში მთელი ჯგუფი შეიკრიბა მწიგნობარ-გადამწერებისა: იოვანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი, იოვანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვანი. მონასტერში მთარგმნელობით-მეცნიერულ მოღვაწეობასა და თუ გადამწერთა შრომას დიდი პატივით ეკიდებოდნენ, რაც წესდებიდანაც კარგად ჩანს: ზეთის ყიდვა და კანდელის ანთება მხოლოდ იმით შეეძლოთ, „რომელნი მკითხველნი იყვნინ ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან, სხუად კულა არა იყო წესი, რადამცა კანდელსა ინთებდეს“. ღამით მონასტერში მყოფროება და სიჩუმე ისაღებებდა: ხანგრძლივი ღმრთისმსახურების აღსრულებითა და მონასტრის მამულებში შრომით დაქანცული ბერები ისვენებდნენ, არ ეძინათ მხოლოდ მათ, რომელთაც მშობელი ეკლესიისა და ქვეყნის სულიერი დაწინაურება ცხოვრების მიზნად და უპირველეს საზრუნავად დაესახათ. „... ოდენ კანდელის მკრთალი ნათელი აქა-იქ სენაკებში მოწმობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუღალავი, მშობელ ეკლესიისთვის თავგანწირული გონებრივი მუშაობა იყო. აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით აღფრთოვანებულნი საქართველოს მნათობნი, გამოჩენილი მეცნიერი ბერები... დიადი იყო ის ნაყოფი, რომელიც ამ გულის სიღრმითგან მომჩქეფარე გრძობამ სამშობლოს შესძინა!... გამოჩენილი ქართველი ბერები მთელს თავისს თავისუფალს დროს ამ კეთილშობილურს სამწერლობო მოღვაწეობას ანდობდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, ქართველი ერის ისტორია, გვ. 176).

თავდადებულმა მოღვაწეებმა დაღლა არ იცოდნენ. როგორც გიორგი მთაწმიდელი გვეუბნება, ექვთიმე, დრო რომ არ დაეკარგა, გზაშიც კი თარგმნიდა. მამის სიკვდილის შემდეგ იგი ივირონის წინამძღვარი გახდა (1005). ამიტომ მრავალრიცხოვან ძმობაზე ზრუნვა და მონასტრის საქმეები დიდ დროს ართმევდა, რასაც წმინდა მამა ძილისა და მოსვენების ხარჯზე ანაზღაურებდა. „არა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათვენ, რამეთუ უფროდსნი წიგნი სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალობისაგან და საურავთა“-ო, წერს გიორგი მთაწმიდელი.

როგორც ჩანს, მთარგმნელობით-მეცნიერული საქმიანობის მნიშვნელობა ქართული ეკლესიისა, და საერთოდ სამშობლოსთვის, ათონელ ქართველ ბერებსაც კარგად ესმოდათ. ამიტომაც ურჩიეს მათ ექვთიმეს თავი დაენებებინა წინამძღვრობისათვის, რათა ღმრთისგან ბოძებული ნიჭი და ენერჯია მთლიანად იმ საქმისთვის მოეხმარა, რომელიც სამშობლოს უფრო სჭირდებოდა. მართლაც, ექვთიმემ მამასახლისობაზე უარი თქვა, „თვისსა სენაკსა დაჯდა და წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა“. თითქმის არ არსებობს სასულიერო მწერლობის არცერთი დარგი, რომელთა საუკეთესო ნიმუშები ექვთიმე მთაწმიდელს ქართულად არ ეთარგმნოს, ბიბლიოლოგია იქნება ეს თუ ეგზეგეტიკა, დოგმატიკა თუ პაგიოგრაფიული და აპოკრიფული ლიტერატურა. მან თარგმნა სახარება — ოთხთავი და გამოცხადება იოვანე ღმრთისმეტყველისა, დუითნი, იოვანე ოქროპირის „თარგმანებად იოვანეს სახარებისად“ და მისივე „თარგმანებად მათეს სახარებისად“, ანდრია კრეტელის „თარგმანებად იოვანე მახარებლის ხილვისად“. ბასილი დიდის „თარგმანებად ფსალმუნთად“ და „ითიკა“, გრიგოლ ნოსელის თხზულებანი — „წმიდისა მამაო ჩვენოდა თარგმანი“ და „წმიდისა მოსე წინასწარმეტყველისა ცხოვრებისა თარგმანი“, გრიგოლ ღმრთისმეტყველის „სწავლანი სულიერნი“, მაქსიმე

აღმსარებლის „სიტყვებსათვის ვნებათადას“ და „სწავლანი სულიერნი“, გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოგონი“, იოვანე სინელის „კლემაქსი“, ეფრემ ასურის „სწავლანი“, „მცირე რჩულის კანონი მეექვსისა კრებისაჲ“, იოვანე დამასკელის „შობისათვის წმიდისა ღმრთისმშობელისა“, და მრავალი სხვა ეგზეგეტიკურ-ჰომილეტიკური თუ ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული თხზულება.

ექვთიმე ათონელს ბიზანტიური საეკლესიო მწერლობისთვისაც გაუწევია სამსახური, როცა ქართულიდან ბერძნულად უთარგმნია ქრისტიანული ლიტურატურის ორი გამოჩენილი ძეგლი: „სიბრძნე ბალაჰვარისი“ (ბერძნულად „ვარლაამ და იოდასაფმ“) და „აბუკურა“ („მიქაელ საბაწმიდელის მარტვილობა“). მას ბერძნულ ენაზე ორიგინალური თხზულებაც დაუწერია განდევნილი ბერის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც დღეს მხოლოდ ქართული თარგმანითაა შემონახული. ორიგინალური ნაწარმოები წმინდა მამას ქართულ ენაზეც შეუქმნია, კერძოდ, შემორჩენილია მისი ერთი ლოცვა, რომელშიც ღრმა რეგილიური გრძნობები შესაბამისი დახვეწილი ფორმითაა გადმოცემული.

ცხადია, ბერძნული ეკლესიისა და ბიზანტიური კულტურის წინაშე დამსახურება უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი“ ადრევე უთარგმნიათ ბერძნულად. მის საფუძველზე უნდა შექმნილიყო ათონის მთაზე ბერძნულად „ცხოვრება წმიდისა მამის ჩუენისა ექვთიმესი“ და „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა იოვანესი, ექვთიმესი და გიორგისი, წმიდისა და დიდისა ივერთა ლავრის მაშენებელთა“.

წმინდა ექვთიმე მთაწმიდელი 1028 წელს გარდაიცვალა. საყურადღებოა, რომ იგი წმინდანად არა მხოლოდ ქართულმა, არამედ ბერძნულმა ეკლესიამაც შერაცხა.

ექვთიმეს დაწვებულ დიდ საქმეს გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა რომ სჭირდებოდა, ამას იმდროინდელი ქართველი სასულიერო მოღვაწენიც კარგად გრძნობდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი შავ მთაზე, სვიმეონ-წმიდის ლავრაში მოღვაწე ბერი, გიორგი დაყუდებული (შეყენებული) იყო, კაცი „ვითარცა გვრიტი უბიწო და ტრედი უმანკო“. იგი ოცნებობდა, „რადამცა კუალად გამო-ვინმე-აჩინა მოწყალეებამან ღმრთისამან ნათესაუსა შორის ჩუენსა კაცი, რომელმანცა სრულყო ნაკულევეანებაჲ ენისა ჩუენისაჲ, რომელი იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთკმისაგან დაშთომილ იყო“. მშობელი ერისათვის მლოცველი ბერის ვედრება უფალმა არა მხოლოდ შეისმინა, არამედ იმითაც დააჯილდოვა, რომ ამგვარი მოღვაწე სწორედ მის მოწაფეთა შორის გამოაჩინა.

გიორგი მთაწმინდელი 1006 წელს დაიბადა თრიალეთში. ექვსი წლისა იყო, როცა ღმრთისმოსაჲმ მშობლებმა აღსაზრდელად ტაძრისის დედათა მონასტერში მიაბარეს, ათი წლისა კი ხახულის მონასტერში გადაიყვანეს. აქედან იგი კონსტანტინეპოლში მოხვდა, სადაც 12 წელი საფუძვლიანი განათლების შეძენას მოანდომა. სამშობლოში დაბრუნებული გიორგი ხახულის მონასტერში ბერად აღიკვეცა და შავ მთაზე წავიდა, სადაც გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. მოძღვრის კურთხევით იგი სამი წელი იქვე, რომანწმიდის მონასტერში ცხოვრობდა. აქედან მან უცხოეთში არსებული ყველა ქართული მონასტერი მოინახულა და ისევ შავ მთას დაუბრუნდა. მაშინ გიორგი შეყენებულმა, რომელიც მიხვდა, რომ „ნებითა ღმრთისადათა პოვა, რომელსა იგი ეძიებდა“, ბერძნულიდან წიგნების თარგმნა და ექვთიმე ათონელის დაწვებული საქმის გაგრძელება დააგადა. მაგრამ მთარგმნელობითი მოღვაწეობა გიორგის მისთვის შეუფერებელ, მძიმე ტვირთად ეჩვენებოდა და საქმისთვის ხელის მოკიდებას ვერ ბედავდა. მაშინ მოძღვარმა თავისი ახალგაზრდა მოწაფე გაამხნევა და უთხრა, რომ მძიმე ტვირთის ტარებაში ის შეეწეოდა, ვინც ქართველ ერს ყოველთვის სწყალობდა და ვინც თავის დროზე წმიდა ექვთიმესაც შეეწია — ყოვლადწმიდა ღმრ-

თისმშობელი: „შვილო, რომელმან წმიდა იგი (ეფთჳმე) სიკუდილისაგან იხსნა და ქართული ენა განუმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შწევნად, რამეთუ მას დიდად ქწყალის და უყვარს ნათესავი ჩუენი და თუთ მას წმიდასა მამასა ეფთჳმეს ვევედრნეთ, რათა შეგეწიოს, რომელ ნემსტი, დარჩომილი მისი შენ სრულყო მადლითვე მისითა ვითარცა პავლე ქრისტესი“.

გიორგი შეყენებულმა თავისი მოწაფე ათონის მთაზე გააგზავნა, სადაც იგი 1042 წელს მივიდა, ხოლო 1044 წლიდან 1056 წლამდე ივირონის წინამძღვარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოძღვარი და მოწაფე ერთმანეთისგან შორს იყვნენ, მათ შორის სულიერი კავშირი არასოდეს გაწყვეტილა. გიორგი შეყენებული გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობას თვალ-ყურს შორიდან ადევნებდა და რჩევა-დარიგებებით ქეოდა რომელთაც ხან სიტყვიერად უთვლიდა, ხანაც წერილობით.

თავდაპირველად გიორგი ექვთიმეს თხზულებებს გაეცნო და მის მიერ შემოღებული სამონასტრო წეს-წყობილება შეისწავლა. ამის შემდეგ მან შექმნა ბრწყინვალე ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“, რისთვისაც „გულმოდგინედ გამოწულილვითა გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა მამისა ეფთჳმისთა უსხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებული ცხოვრება და მოქალაქეობა მისი და ნეტარისა მამისა მისისა იოანესი“. ყოველივე ამან ხელი შეუწყო გაეთვალისწინებინა, რისი გაკეთება მოასწრო ექვთიმემ და რა დარჩა გასაკეთებელი.

გიორგი მთაწმიდელმა ჯერ ის წიგნები თარგმნა, რომელთა დასრულებაც ექვთიმემ ვერ მოასწრო. ბერძნებთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, რომლებიც ქართველებს წამდაუწუმ მწვალებლებს უწოდებდნენ, ადრე თარგმნილი წიგნები, რომელნიც თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდნენ და დედნებთან სხვაობას ამჟღავნებდნენ, „ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულეკანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვა, ვითარცა თუთ თავადი სახარება და პავლე“. ზოგიერთი თხზულება კი, რომელიც თავის დროზე ან „კეთილად“ ვერ იყო „გადმოღებული“, „გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლილნი იყვნენ“, საერთოდ თავიდან თარგმნა.

დაბოლოს, საეკლესიო მწერლობა მან ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი ახალი თხზულებებითაც გაამდიდრა. თუმცა სახარების ტექსტი უძველესი დროიდანვე მტკიცედ იყო დადგენილი, მაგრამ სხვაობებს თვით ბერძნულ რედაქციებშიც კი, მკითხველი ყოველთვის შეხვდებოდა. დროთა განმავლობაში ყურადღება ამ რედაქციულ სხვაობებსაც მიექცა და ბიზანტიის ეკლესიაში სახარების ერთი, მტკიცედ დადგენილი რედაქცია დამკვიდრდა. რა თქმა უნდა, ეს ნაკლი უძველეს დროს თარგმნილ ქართულ სახარებასაც ექნებოდა, რასაც უკვე ეკლესია ვეღარ შეიწყინარებდა. ამიტომ ქართული სახარების შედარება ბერძნულთან ნაწილ-ნაწილ ჯერ კიდევ იერუსალიმსა და სინას მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებს დაუწყიათ, მაგრამ დასრულებული სახე მას ექვთიმე და განსაკუთრებით, გიორგი მთაწმიდელებმა მისცეს, რომლის რედაქციაც ქართული ეკლესიის მიერ კანონიკურ ტექსტადაა მიჩნეული.

ექვთიმესაგან განსხვავებით, რომელიც კლება-შემატების მეთოდით თარგმნიდა, გიორგიმ ხელახლა ზუსტად თარგმნა ექვთიმეს მიერ თარგმნილი საღმრთისმსახურო თხზულებანი. ეკლესიამ გიორგის თარგმანებს, ექვთიმეს თარგმანებისგან განსხვავებით, „დიდი სკნაქსარი“, „დიდი კურთხევანი“ და, მათი ანალოგიით, „დიდი პარაკლიტონი“ და „დიდი მარხვანი“ უწოდა. ქართული ეკლესიისა და საერთოდ ხუროთმოძღვრების ცხოვრებაში გიორგი ათონელის ისეთმა ბრწყინვალე თარგმანებმა როგორცაა: „დავითნი“, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“, „წამება წმიდისა გიორგისი“,

„საწინაწარმეტყველო საწელიწადო“, „თთვენივე ათორმეტნივე“ — ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც ერთსა და იმავე წმინდანისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ბიზანტიელი ავტორის ჰიმნებია თავმოყრილი, უდიდესი როლი შეასრულა.

ღრმა საღმრთისმეტყველო განათლების მქონე წმინდა მამა არა მხოლოდ ბერძნებისგან შევიწროვებულ უცხოეთში მოღვაწე ქართველ ბერებს, არამედ საერთოდ ქართული ეკლესიის ინტერესებსაც მტკიცედ იცავდა.

როცა ბერძენმა ბერებმა მწვალებლობის ბრალდებით ქართველი ბერების გაძევება სვიმონწმიდის მონასტრიდან ვერ შეძლეს, მაშინ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი წამოჭრეს. მათ ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსის უთხრეს, რომ ქართველები თვითონ „დაისხამენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და ყოველ საეკლესიო წესს განაგებენ“, მაშინ, როცა „არა მართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მოსრულ არს ქუეყანასა მათსა“, ამიტომ „უმეტარი ნათესავი და სამწყსო მცირე ჯერ არს კელმწიფობასა ქუეშე ანტიოქიისა პატრიარქისასა იმწყსებოდინ და აქა იკურთხეოდის კათალიკოსი მათი“.

პატრიარქმა გიორგი მთაწმიდელი დაიბარა და ურჩია: „ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღუარნი თქუენნი კელსა ქუეშე სამოციქულოდსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ... შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ ვუწყვი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკუეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი.“

თუ ეს საქმე მშვიდობით არ მოგვარდებოდა, მაშინ თეოდოსი იმით იმუქრებოდა, რომ ოთხივე პატრიარქს მისწერდა და ქართველთა ნათესავის, რომელნიც „თვით იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მოსრულ არს ქუეყანასა მათსა“, „თვითრჩულობასა და ქედფიცხელობას“ ამცნობდა, „თვითრჩულობა და ქედფიცხელობა“ კი უსამინლესი ცოდვა იყო და ერთი, საყოველთაო ეკლესიისაგან განდგომას მოასწავებდა.

როგორც ჩანს, გიორგი მთაწმიდელი, ამგვარი შემოტევის მოსაგერიებლად მომზადებული ყოფილა, ამიტომ პატრიარქისთვის მშვიდად განუცხადებია, რომ მეფისა და ეკლესიის წილ პასუხს თვითონ გასცემდა და „ანდრია მოციქულის მიმოსლვათა წიგნი“ მოუთხოვია. ვიდრე შესაფერის ადგილს წაიკითხავდა, მან პატრიარქს უთხრა: „შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარს ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა (ანდრიას) ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, — სიმონს ვიტყვი კანანელსა, — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ქწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულ ვართ“.

რაკი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დასაცავად ისეთი საბუთი მოიტანა, რომლის უარყოფაც არავის შეეძლო, წმიდა მამამ თეოდოსის მიმართა: „შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრიას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“. შემდგომად ამისა, გიორგი მთაწმიდელმა ქართული ეკლესიის მიერ საუკუნეთა განმავლობაში სარწმუნოებრივი ღოგმატებისადმი გამოჩენილი ერთგულება ბერძნების თვალში მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად მარჯვედ გამოიყენა და ყველას გასაგონად განაცხადა: „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოებოდა“ და მართლმადიდებლობის კერად მხოლოდ ქართლის საკათალიკოსო ითვლებოდა, ისე რომ „იოვანე გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა“.

ქართველებს ამ მხრივ თავის მოწონება მართლაც შეეძლოთ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ისეთ მძლავრ ერეტიკულ მიმდინარეობებსაც კი, როგორც მონოფიზიტობა და

ხატომბრძოლობა იყო, საქართველოს ეკლესიის მთლიანობისათვის მხარე არ უჭერდა. ეს ფაქტი გიორგი მთაწმიდელმა როგორც კეისართან, ისე ანტიპაპს ბიზანტიასთან საუბრის დროსაც ხაზგასმით წარმოადგინა, რათა სრულიად უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას ქართველთა მწვალებლობაზე ბოლო მოეღებოდა. რამდენიმე წელიწადი „ერთი ღმერთი გვცნობიეს, — უთხრა მან თეოდოსისს, — არადა უფროსად არც ოდეს წვალებილა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი“.

1060 წელს გიორგი მთაწმიდელი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის მიერ სამშობლოში ჩამოვიდა. მეფემ, რომელიც ამ დროს ქართლში იმყოფებოდა, დიდ ბულ სტუმარს „მღვდელ-მოძღუარნი“ და წარჩინებულნი შეაგება, ხოლო იქნა „კართა თანა კარვისათა წინა მოეგება“ და კურთხევა სთხოვა. ბაგრატ IV კარგად „მისცა ადგილნი შუენიერნი, ლაერანი დიდებულნი განსასუენებლად და სყოფილად მისად: პირველად ნექვ ქართლსა შინა და შემდგომად მცირედისა — მთავრად დიდებული ლაერა კლარჯეთს შინა“.

გიორგი მთაწმიდელს სამშობლოში ჩამოსვლა მძიმე დროს მოუხდა. ქვეყანაში შიმშილობა მძვინვარებდა, ადამიანები შიმშილისგან იხოცებოდნენ. მშობელ ხალხის გასაჭირის საკუთარი თვალთ ხილვამ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და გული ატკინა. „ჰომ-მე, ცრემლით ამბობდა იგი, რასათჳს მოვიწიე ამას ქვეყანას ხილვად ესევითართა ამათ ბოროტთა“.

თვითონ, რაც შეეძლო და როგორც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა, მაგრამ დიდ უბედურებასთან გამკლავებისათვის, როგორც შიმშილობაა, საზოგადოებას უწინარესად სამღვდელოების, ერთობლივი ძალისხმევა იყო საჭირო, უმჯობესად ღვდელეობა კი, რომლის დიდი ნაწილიც დიდგვაროვანთა წრიდან იყო გამოხლეული. ქვეყნის ტანჯვას გულხელდაკრეფილი შესცქეროდა. ერთნი, შეძლებული და წარჩინებული ეპისკოპოსებიდან, იმაზე ფიქრობდნენ, რომ სახელისა და პატივის მოსახვეჭად „სიმდიდრითა საფასეთა თჳსთადათ“ ეკლესიები შეეძლოთ და განეწმინდათ; მეორენი კი დევე უფრო უარესნი იყვნენ, რადგან ოქროსა და ვერცხლს მხოლოდ თავისთვის, პირადი კეთილდღეობისთვის კრებდნენ და იყენებდნენ. სხვაგვარი საჭირო ღირსეული მათგან მოსალოდნელიც არ იყო, რადგან დიდაზნაურთა წრიდან გამოხლეული სასულიერო ხარისხი ბაგრატ IV-ისგან ჰქონდათ ნაყიდი. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ეპისკოპოსებად ღირსეული პიროვნებები კი არ ინიშნებოდნენ, არამედ მღვდლები, — ვისაც ფული ჰქონდა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ბაგრატ მეფეს თვითონ უთხოვია დიდებულ ბერისთვის საეკლესიო საქმეებში ჩარევა და მათი მოწესრიგება: „რათა ნაკლები ვანება და ცთომა უწესო აღმოჰფხურა სრულიად სულთაგან ჩუენთა, დაფარულ დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თუალ-უხუად განგვმარტე“.

წმინდა მამამ მხილების მახვილი პირველად მეფისკენ მიმართა და მკაცრად უსაყვედურა: „რომელ არა ჰყიდდეს საეპისკოპოსთა კაცთა მიმართ უწესთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესობათა და მამობათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა და მონაზონებათა შინა აღზრდილთა და ღმრთივსულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა“. ე.ი. ქართული ეკლესიის ყოფიდან უწინარესად ეპისკოპოსის თანამდებობის ყველაზე უფროსად საშინელი სენი უნდა აღმოფხვრილიყო და ამ თანამდებობის დასაკრებლად პიროვნება არა გვარიშვილობის და სიმდიდრის, არამედ პირადი ღირსეულობის მიხედვით უნდა შერჩეულიყო, ამასთან — იგი არა მეფეს, არამედ „ღმრთის სულიერ მოძღვრებს“ უნდა გამოერჩია.

"მხილების მახვილს" ვერც ეპისკოპოსები გადაურჩნენ. წმინდა მამამ მათსა

მხოლოდ უღირსი მღვდლების ხელთდასხმაში, არამედ გულქვაობაშიც დაადანაშაულა და განუმარტა, რომ როცა ცოცხალ ეკლესიას — ხალხს ასე უჭირდა, ტაძრების გამშვენება-შემკობაზე ამდენი ზრუნვა გაუმართლებელი იყო. ერთ ფრიად მდიდარსა და წარჩინებულ ეპისკოპოსს, რომელიც მარტო ეკლესიების შემკობაზე ზრუნავდა, „რათა მონასტერთა შინა აღაპი დაედვა“... „ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედავდა“, გიორგიმ პირდაპირ უთხრა, რომ მისი საქციელი ეშმაკისგან იყო ნაკარნახევი, რომელსაც უნდოდა, „რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყალობასა შინა“ მოეკლა იგი. ამასთან, მან ეპისკოპოსს ისიც შეახსენა, რომ, რაჟამს პირისპირ წარდგებოდა, უფალი იმას კი ჰკითხავდა, ეკლესია შეამკო თუ არა, არამედ უსაყვედურებდა და ეტყოდა: „მშობოდა მე და არა მეცით ჭამადი“. თვითონ მაცხოვრის უპირველესი საზრუნავიც ხომ ცოცხალი ეკლესია — მისი სამწყსო იყო.


გიორგი მთაწმიდელი მხოლოდ მხილებით არ დაკმაყოფილებულა, მან ის, რასაც მოითხოვდა, საქმითაც აღასრულა, კერძოდ, შეკრიბა ადამიანები სხვადასხვა ადგილიდან, „სხუანი მონებისგან გამოიყვანნა, ხოლო სხუანი უმწარესის ცხოვრებისაგან იკვნნა“, შეასწავლა, რაც საჭირო იყო, აღზარდა და „ესევეითართა შეურაცხთა საქმეთაგან მღვდლად უბიწოდ, მნედ სარწმუნოდ ქრისტესა შესწირნა“. ეს იმდენად გაბედული ნაბიჯი იყო (სასულიერო პირებად კურთხევა დაბალი წრიდან გამოსული ადამიანებისა), რომ მისი ცხოვრების აღმწერმა გიორგი მცირემ საჭიროდ ჩათვალა ანალოგიური ფაქტები ბიბლიიდანაც დაემოწმებინა: „დიდი იოსებ მონა იყო და სიწმიდე მისი ყოველთა შორის იქნების, რომელ იგი უკანასკნელ მეფე იქმნა ეგვიპტისა, ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყუნესა, რომელ იგი ერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყველ და რათა არა თითოეულსა ვიტყვოდი“.

საქართველოში ხუთი წლის დაუღალავი მოღვაწეობის შემდეგ გიორგი მთაწმიდელი მეფეს, სამღვდელოებასა და ერს გამოემშვიდობა და 80 ობოლი ბავშვით, რომლებიც შიმშილობის დროს შეკრიბა და დაიმოწაფა, ათონის მთისკენ გაემშურა, მაგრამ გზაში (კონსტანტინეპოლში) 1065 წლის 29 ივნისს, ოთხშაბათ დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა. მის წმინდა ნეშტს ათონისკენ ხელმეორედ დაობლებული ქართველი ბავშვების წრფელი ცრემლი მიაცილებდა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ძლიერებას საფუძველი სხვებთან ერთად დიდმა მთაწმიდელებმაც ჩაუყარეს, რომელთაც ქართველი ერის სულიერი წარმატებისა და ზნეობრივი ამაღლებისათვის, რაც სახელმწიფოს ძლიერების უცილობელ პირობას წარმოადგენს, თავდადებით იღვაწეს. სამშობლოს სიყვარულს მათ ვერც იმ შურითა და პირადი ანგარებით შეპყრობილი თანამემამულეების მტრობა უნელებდა, რომელთა გამოც დიდმა იოვანემ ერთი პირობა მის მიერ აშენებული ივირონის დატოვება და თავის ძესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ესპანეთში წასვლა გადაწყვიტა, რადგან ეს ქვეყანაც იმიტომ აირჩია, რომ გაგონილი ჰქონდა, „ვითარმედ ქართუელნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“-ო.

პაპობა X-XI საუკუნეებში

ჩრდილოეთ ევროპაში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად პაპის ხელისუფლებაც გაფართოვდა, რადგან მის ტახტს ახალი ქვეყნები დაემორჩილა. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ პირველისა და მისი მემკვიდრეების — აღრიანე მეორესა და იოვანე მერვეს შემდეგ პაპობის ისტორიაში სამარცხვინო დრო დადგა. ასორმოცდაათი



საქართველოს ეკლესია XI საუკუნის მეორე ნახევარსა
და XII საუკუნის პირველ ნახევარში

ეფრემ მცირე

ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა შემდეგ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა ეფრემ მცირემ, რომელსაც მთაწმინდელთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგად წილად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ერგო. იგი უნდა ყოფილიყო შეილი ვაჩე კარიჭისძისა, რომელიც, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, სხვა ტაოელ აზნაურებთან ერთად 1027 წელს საბერძნეთში გაემგზავრა. კონსტანტინეპოლში, სადაც მამამ იგი ძალიან პატარა ჩაიყვანა (ისიც შესაძლებელია, რომ საერთოდაც იქ დაიბადა), ეფრემმა ბერძნული ენა ისწავლა და საფუძვლიანი ბერძნული განათლება მიიღო. ამის შემდეგ იგი სამოღვაწეოდ ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე წავიდა, რომელიც საგარაუდოდ ათონის მთას იქ ბერძენსა და ქართველ ბერებს შორის გამეფებული გამწვავებული ურთიერთობის გამო არჩია. შავ მთაზე ეფრემი დაახლოებით სამოციანი წლების დამდეგს უნდა მისულიყო. მას მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებია ამ მხარეში მოღვაწე ფილოსოფოსებთან, მიტროპოლიტთან და, რაც მთავარია, ანტიოქიის პატრიარქთან, რომელიც დიდად განსწავლული პიროვნება ყოფილა. მისი ნებართვით, ეფრემს საშუალება მიეცა ესარგებლა სვიმეონწმიდის უდიდესი და უმდიდრესი წიგნთსაცავით. აქ მან გაიცნო ბიზანტიის ეკლესიაში კარგად ცნობილი კანონისტი, ნიკონ შაუმოული, იოვანე დამასკელის არაბული ცხოვრების ავტორი — მონაზონი მიქაელი და შესაძლებელია, მიტროპოლიტი სამუელიც, რომელმაც ეს ცხოვრება ბერძნულად თარგმნა.

ამ დროისათვის შავ მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებს ერთგვარი ლიტერატურული წრე შეუქმნიათ, რომლის ძირითადი მიზანიც ქართულ ენაზე უკვე არსებული საღმრთისმეტყველო ლიტერატურის შეესება-გამდიდრებაზე ზრუნვა იყო. ამ წრეს ეკუთვნოდნენ: გიორგი მთაწმიდელი, კვირიკე ბერი, ანტონ ტბელი, საბა თუხარელი. ეფრემ დიდი ოშკელი, იოვანე მთვარასძე. მათ სწორედ შეაფასეს ღრმად განათლებული და მწიგნობრობის მოყვარული ეფრემის შესაძლებლობანი და მთარგმნელობითი საქმიანობა დააუაღეს. თარგმნის ხელოვნებას მას საბა თუხარელი და ანტონ ტბელი ასწავლიდნენ, რომელნიც სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ. პეტრე ქუცუაციის წესის შემოღება იოვანე პატრიკოფილმა ურჩია, რომელსაც ეფრემი „საღმრთო ფილოსოფოსსა“ და თავის მასწავლებელს უწოდებს, ხოლო გაბრიელი მღვდელი იმ თხზულებებს არჩევდა, რომელიც მას უნდა ეთარგმნა.

ეფრემს სამოღვაწეოდ ერთხელ არჩეული ადგილი არასოდეს დაუტოვებია რადგანაც რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) აქტებში მიცვალბულთა შორის იხსენიება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მე-11 საუკუნის მიწურულში გარდაიცვალა.

ეფრემ მცირემ სახელი მრავალმხრივი მოღვაწეობით მოიპოვა, რომელთაგან ძირითადი მაინც მთარგმნელობითი საქმიანობა იყო. მან მთარგმნელობის საკუთარი თეორიაც კი შექმნა, რომლის მიხედვითაც თხზულება აუცილებლად დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს და თანაც ისე, როგორც დედანშია, ყოველგვარი მოკლება-შემატების გარეშე, „ზედაწარწერილის“ (სათაურის) შეუცვლელად. თარგმნის სიზუსტე მას სრულიადაც არ ესმის, როგორც ორიგინალის ტექსტის მშობლიურ ენაზე სიტყვა-სიტყვით გადმოტანა, რადგან ამგვარ შემთხვევაში თარგმანის ენა მძიმე და დაუხვეწელი იქნებოდა. მისი აზრით, მთარგმნელმა დედანთან ისეთი ახლო მდგომი სიტყვა უნდა იპოვოს, რომელიც შინაარსსაც მართებულად გადმოსცემს და ტექსტსაც სილამაზეს შეუნარჩუნებს. თვითონ, თუ დედანში ძნელად გასაგები ან ძველი სიტყვა შეხვედებოდა, ვიდრე მას ქართულ ენაზე გადმოიღებდა, მისი შინაარსის დადგენას ლექსიკონთა საშუალებით ცდილობდა, ხოლო თუ ბერძნული სიტყვის შესატყვისს ქართულ ენაში ვერ იპოვიდა, მის გამოტოვებას ამ სიტყვის უთარგმნელად დატოვებას ამჯობინებდა. სხვების მიერ თარგმნილ თხზულებებზე რედაქციული მუშაობისას, ეფრემი მთარგმნელის პატივისცემას ამჟღავნებდა და ვიდრე რამეს შეასწორებდა, ჯერ იმას იძიებდა, მთარგმნელის შეცდომის შედეგი იყო ეს თუ სათარგმნო ტექსტის რედაქციული ვარიანტების არსებობისა. თავად თარგმნისას დედნის სიტყვები „მარტივად, შეუზავებლად და შეუხებლად“ გადმოჰქონდა, მაგრამ თუ აზრი მაინც ერთგვარ ბუნდოვანებას ინარჩუნებდა, მის ნათელსაყოფად აშიაზე განმარტებებსა და სქოლიოებს ურთავდა. ტექსტის შინაარსის გასაგებად და ადვილად აღსაქმელად მან საკუთარი პუნქტუაცია შემოიღო: ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი და ექვსწერტილი, რომელიც შემდეგში ქართულ მწერლობაში დაკანონდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მწერლობაში სასვენ ნიშნებს მანამდეც იყენებდნენ.

როცა რომელიმე თხზულებას სათარგმნელად შეარჩევდა, ეფრემი ყოველთვის ცდილობდა გაერკვია, ხომ არ იყო იგი უკვე თარგმნილი, ან ვინმე ხომ არ თარგმნიდა. ასე მაგალითად, მას ბასილი დიდის ასკეტიკონის თარგმნა განუზრახავს, მაგრამ გაუგია, რომ იგი უკვე პროკოპი მღვდელს ეთარგმნა. თორმეტი წლის განმავლობაში ელოდებოდა ეფრემი ამ თარგმანის მიღებას, მაგრამ, როცა ლოდინი ამაო გამოდგა, ასკეტიკონის თარგმნას თვითონ შეუდგა. ასე რომ იგი ჭეშმარიტად მეცნიერი ფილოლოგი, მეცნიერ-მთარგმნელი იყო, რომელიც თარგმანთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მკვლევარის პოზიციიდან უდგებოდა.

ეფრემი იმ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა პლატონური იდეები ადრეული შუასაუკუნეების შემდეგ, აღორძინებას ხელმეორედ იწყებდა, იცოდა რა, რა საშიშროებას უქმნიდა ეს საზოგადოებასა და ეკლესიაში მცდარ სწავლებათა შემოტანას, მისგან დასაცავად ეფრემმა იოვანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, კერძოდ, მისი ორი ნაწილი „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“ თარგმნა. ფილოსოფიური შინაარსის მქონე „დიალექტიკას“ იგი მიიჩნევს საშუალებად, რომლითაც „წინააღმდეგებიან შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განგურემენ მათ“. თვითონ იოვანე დამასკელსაც ამავე მიზეზით დაურთავს იგი თავისი თხზულების ძირითადი ნაწილის „გარდამოცემისათვის“. როგორც ეფრემი ხატოვნად წერს, მან „ნაყოფთა შეუნიერებად ვენაჴისა ამის თვისისა“ ანუ დოგმატური ღმრთისმეტყველება არაქრისტიან ფილოსოფოსთა მხრიდან შემოტევივებისაგან დასაცავად „ეკლოვნებით“, ანუ ფილოსოფიური სწავლებით მოხლუდა. ბუნებრივია, ეს ფილოსოფიური სწავლება ქრისტიანული ღმრთისმეტყველების შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

გარდა „დიალექტიკისა“, ეფრემმა თარგმნა ფსევდო-დონისე, არეოპაგელის თხზულებათა კორპუსი, ე. წ. „არეოპაგეტიკა“, რომელიც მეცნიერებაში ქრისტიანული ფილოსოფიის მწვერვალადაა აღიარებული.

ბიბლიური წიგნებიდან მან რედაქცია გაუკეთა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ „სამოციქულოს“. მართალია, ეფრემი თავის თავს მის შვირდსა და ფხვნი მტკვერს უწოდებს, მაგრამ მაინც უსწორებს თარგმანს, რადგან ფიქრობს, რომ რამდენადაც გიორგიმ კავშირი ძველ ქართულ რედაქციასთან ვერ გაწყვიტა და ბერძნული დედნის სიზუსტე ვერ დაიცვა. თუმცა აქვე ითხოვს, მისი შესწორებანი გიორგი მთაწმიდელის თარგმანში არ შეიტანონ. ეგზეტიკური ლიტერატურიდან ეფრემ მცირე იოვანე ოქროპირის ეპისტოლეთა განმარტებანი თარგმნა, რომელიც მანამდე ვითომე მთაწმიდელის მიერ მეტიისმეტად შემოკლებული სახით იყო თარგმნილი. მაგრამ ზუსტად და სრულად „პაულენი“ არც მას უთარგმნია; უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ეს თარგმანი უფრო ეფრემ მცირის შრომას წარმოადგენს, რომელიც მან იოვანე ოქროპირის მიხედვით დაწერა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ეფრემის ეგზეტიკური შრომა „თარგმანება და ვითისნი“. განმარტებები მას ამოუკრებია იმ წიგნებიდან, რომელნიც სვიმეონწმიდის წინასაცავში უნახავს. ამ წიგნების ავტორები ყოფილან: ბასილი დიდი, ათანასე და კირილე ალექსანდრიელი, ეესუქი იერუსალიმელი, ასტერი ამასიელი და იოვანე ოქროპირი. ამათგან ათანასეს, კირილესა და ბასილის თხზულებებიდან მას უმეტესოდ უსარგებლია, ხოლო დანარჩენთა განმარტებები ე. წ. „კატენების“ ორი კრებულიდან ამოუღია. ამგვარად, მართალია, „თარგმანება და ვითისნი“ შინაარსით ორიგინალური თხზულება არაა, მაგრამ იგი არქიტექტონიკითა და გვგვით რაც მასალის შერჩევასა და დალაგებაში გამოიხატება, შესაძლებელია ორიგინალურად ჩაითვალოს.

დოგმატური და პოლემიკური ლიტერატურიდან, გარდა ზემოაღნიშნული „დამოცემისა“, ეფრემს ეკუთვნის თარგმანები გრიგოლ ღმრთისმეტყველის იულიანე განდგომილის განმაქიქებელი და არიოზელთა მამხილებელი სიტყვებისა. ასევე და მისტიკური ხასიათის თხზულებებიდან აღსანიშნავია, ეფრემისეული თარგმანი ბასილი დიდის ასკეტიკონისა, ითიკის გამოკლებით, რომელიც ექვთიმე ათონელს ჰქონდა ნათარგმნი. ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა როგორც მთარგმნელისა ჰაგიოგრაფიისა და ისტორიის ჟანრში; მის მიერაა თარგმნილი: ცხოვრებანი თეოდოსი დიდისა, პელაგია ანტიოქიელისა, გრიგოლ ნეოკესარიელისა, იოვანე დამასკელისა, სპირიდონ ტრიმიტუნტელისა, წამება დიმიტრისი და სხვ.

ეფრემ მცირეს ორი ორიგინალური ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის შრომაც ეკუთვნის, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას „უწყება და მტკიცება ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შორის მოიქსენების“ იმსახურებს. ამ თხზულების დაწერა მას შავ მთაზე ქართველთა წინამძღვრმა იოვანე-კვირიკემ დაუალა. მისი დაწერის მიზანი იყო ანტიოქიაში მოღვაწე ბერძენი ბერებისათვის ქართულთა ბერძენების თანადროული გაქრისტიანება დაესაბუთებინათ, თანაც ბერძნულ წყაროებიდან ამოკრებილი ცნობებით, რადგან ქართულ წყაროებს ისინი ნაკლებად ენდობოდნენ. იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველები წმ. ნინოს მიერ კონსტანტინე დიდის დროს მოიქცნენ, ეფრემი თეოდორიტე კვირელის ისტორიის 24-ე თავს იმომწმებს, დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ცნობა ეფრემის ისტორიის 22-ე თავიდან მოაქვს. იმათ გასაგონად, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ეკლესია არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს, რადგან იქ მოციქულს არ უქადაგიათო, ეფრემი ასაბუთებს, რომ მის სამშობლოში ქრისტიანული სარწმუნოება

ნობეა მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა და ბართლომემ იქადაგეს; იმათ საპასუხოდ, რომელთა მტკიცებითაც ქართველებმა კათოლიკოსი თვითნებურად დაისვეს, ეფრემი ანტიოქიურ ქრონოგრაფს იყენებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს უფლება ქართველებს მერვე საუკუნეში ადგილობრივმა კრებამ მიანიჭა, პატრიარქ თეოფილაქტეს თავმჯდომარეობით. ხოლო რაც მირონის შემზადებას შეეხება, მისი უფლება ქართველებს, ეფრემის თქმით, ისევე როგორც სხვებს, ქალკედონის კრებამ მიანიჭა.

საქართველოს გაქრისტიანებასა და ქართული ეკლესიის უფლებების წარმოშობაზე წიგნის დაწერის აუცილებლობა განსაკუთრებით ცხადად ქართველებმა გიორგი მთაწმიდელისა და ანტიოქიის პატრიარქს შორის გამართული კამათის შედეგად იგრძნეს. მაშინ მართალია, ეს კამათი გიორგის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ნათელი გახდა, რომ დადგა დრო, როცა ქართველებს მეცნიერულად უნდა შეესწავლათ საკუთარი ისტორია, თუნდაც იმ უფლებების დაცვის მიზნით, რომელნიც მათ წინაპრებს დიდი გარჯითა და ღვაწლის გაწევით ჰქონდათ მოპოვებული.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ეფრემ მცირის შრომა გრიგოლ ღმრთისმეტყველის ჰომილიების თარგმნისას. მან წმ. გრიგოლის 26 სიტყვა თარგმნა, მათ შორის ისინიც, რომელნიც უკვე ექვთიმე იბერიელს ჰქონდა თარგმნილი; მიზნად მათი ხელმეორედ თარგმნისა იგი დედნების სისრულისა და სიზუსტის დაცვის სურვილს ასახელებს და იქვე ხსნის, რა იყო მიზეზი ექვთიმეს თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდისა. იგი ითვალისწინებდა მშობლიური ერის უსუსურობასა და სიჩვილეს ქრისტიანული აზროვნებისათვის და საზრდელად რძეს აძლევდა. დღეს კი, უკვე მისი მაღლით აღორძინებული და მომაგრებული ერი, უფრო მაგარი საზრდელის მოწოდებას მოითხოვდა — ამიტომ, უკეთუ ექვთიმე გრიგოლ ღმრთისმეტყველის ჰომილიებს, რომელთაც ეფრემი წმიდასა და მაგარ ღვინოს ადარებს, წყლით აზავებდა, ანუ მათ საკუთარი განმარტებებით ავრცელებდა, დღეს უკვე მათი ზუსტი სახით გადმოტანის საჭიროება იგრძნობოდა, რადგან ქართველობა მის მისაღებად უკვე გაზრდილი და მოღონიერებული იყო.

გრიგოლ ღმრთისმეტყველის ჰომილიების გარდა ეფრემ მცირეს უთარგმნია, აგრეთვე, სიტყვები ამფილოქე იკონიელისა, გიორგი ნიკომედიელისა, ევსუქი იერუსალიმელისა, თეოდორე სტუდიელისა, სოფრონ იერუსალიმელისა, იოვანე ოქროპირისა, ანასტასი სინელისა, ბასილი დიდისა, გერმანე კონსტანტინეპოლელისა, იოვანე თესალონიკელისა და ანდრია იერუსალიმელისა. მასვე ეკუთვნის თარგმანები ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოვანე ოქროპირის სხვადასხვა პირებისადმი მიწერილი ეპისტოლეებისა.

მრავალთაგან მცირედი ღვაწლის წარმოჩენაც კი მიუთითებს იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც ეფრემ მცირეს — მეცნიერ ფილოლოგს, მთარგმნელსა და ისტორიკოსს მიუძღვის საქართველოში საღმრთისმეტყველო აზრის განვითარებასა და ზოგადად ქართული ეკლესიის ისტორიაში.

არსენ ივალთოელი

მე-11 საუკუნის მიწურულსა და მე-12 საუკუნის დამდეგს მოღვაწეობდა ეფრემ მცირის უმცროსი თანამედროვე არსენი, „ქუეყანით კახი“, რომელიც „დაბასა შინა ივალთოს“, დაახლოებით XI ს. 50-იან წლებში დაბადებულა. შეიძლება მას ამიტომაც მიუღია ზედწოდებად ივალთოელი, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ეს ზედწოდება მისი მოღვაწეობის ადგილზეც მიუთითებდეს. ქართულ მეცნიერებაში მას

მკვლევართა ნაწილი (კ. კეკელიძე, ი. ლოლაშვილი) წყაროებში მოხსენიებულ ამავე პერიოდში მოღვაწე არსენ ვაჩხაძესთან აიგივებს, ხოლო ნაწილიც მას სხვა დასხვა პიროვნებებად თვლის.

თავისი ღრმა და საფუძვლიანი განათლება, რაზეც მისი ლიტერატურული მუშაობა მეტყველებს, კ. კეკელიძის აზრით, არსენს კონსტანტინეპოლისში, კონსტანტინე მონომახოსის მიერ დაარსებულ აკადემიაში — მანგანის წმ. გიორგის მონასტერში უნდა მიეღო. სწავლის დასრულების შემდეგ იგი სამოღვაწეოდ შე მიახვეწასულა, სადაც ეფრემ მცირეს დაემოწაფა და მის „შზრდელთა და მსახურთა“ რეგულაში ითვლებოდა. მისივე ხელმძღვანელობით სწავლობდა ასევე თარგმანის ხელნაწიშს ღმრთისაგან ბოძებული ნიჭის წყალობით არსენი ამ საქმეში ძალიან ძალე დაოსტატებულია და მოძღვრის ქებაც დაუშსახურებია. ეფრემს მისი მესამე თარგმანი (კურთხეული სამონა და აბიბოს წამება“) მეტაფრასულ კრებულში შეუტანია და მისთვის შესაძენა გაუკეთებია, რომელშიც იგი სამ წმიდა მოწამეს ევედრება შეეწიონ ყოველ წინათლებულ არსენს და ამ კინი ძღვნის წილ ქართველთა ნათესავს მიჰმადლონ. მართებამ თარგმანობისა მისისაჲ, რამეთუ შეუძლებელი კაცთაგან მისდა და მის მიერ თქუნდა შესაძლებელ არს. ამას, გლახ, ეფრემ იტყვს მცირე, მონაჲ მისი და უფროსდა მოძღუარი“.

ამ მინაწერებიდან ჩანს, რა მტკიცედ სჯეროდა ეფრემ მცირეს მისი მონაწილის მაღალნიჭიერებისა და მისი მთარგმნელობითი საქმიანობის წარმატებისა ქართული ერის სასახელოდ და საამაყოდ.

შავი მთიდან არსენი მანგანის მონასტერში დაბრუნებულა, რაც ადრე მის მოძღვრის, ეფრემის სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით XII საუკუნის დაბდეს მოხდა. მანგანაში არსენს ანასტასი სინელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „წინაშე ვარი“ უთარგმნია; აქვე გადმოუღია მას ქართულად გიორგი ამარტოლის „ზრინდრაფი“, რომლითაც საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში მსოფლიო ისტორიის სწავლობდნენ.

1103 წელს, სავარაუდოა, დავით აღმაშენებლის მიწვევით, არსენმა მანგანის მონასტერი უკივე მეორედ დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. ფიქრობენ, რომ დაუბრუნებულა, რომელიც ამ პერიოდისათვის უკვე დიდი საეკლესიო რეფორმის გატარებისთვის ემზადებოდა, მისი სახით იპოვა მხარდამჭერი და თანამოაზრე, რომელიც ამგვარად რჯულის მეცნიერებაშიც ღრმად განსწავლული იყო და რეფორმას მოსალოდნელი შეცდომებისაგან დაიცავდა. მრავალი წლის განმავლობაში ისინი გვერდით კეთილად თანამოღვაწეობდნენ. დავითი ცდილობდა ყოველმხრივ შეეწიო ხელი არსენის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის, ხოლო თავის მხრივ არსენი პოლიტიკურ-კულტურული რეფორმების გატარებისას სანდო და ეფრემის მიერ მრჩეველად ეგულებოდა. მეფე არსენს „სასოსა და განმანათლებელს“ უწოდებდა, ხოლო არსენი დავითს — „მბრძანებელს“, „კეთილად მსახურს და ღმრთივედ ეგულსა მეფეს“, „მომსგავსებულსა სახიერებასა ღმრთისასა“.

გელათში ყოფნისას არსენ იყალთოელმა, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის თხოვნით, უწინარესად დიდი სჯულის კანონი თარგმნა, რადგან მეფეს ეკლესიაში რეფორმის გატარებისათვის, რომელიც განზრახული ჰქონდა, იურიდიული საუკველი სჭირდებოდა. იმას, რომ „დიდი სჯულის კანონის“ ქართულად მთარგმნა არსენ იყალთოელი იყო, XIV საუკუნეში ჯვრის მონასტერში მოღვაწე ქართველი გრიგოლ ჩახრუხაისძეც გვიდასტურებს. „დიდი სჯულის კანონის“ ხელნაწერისათვის მიწერილ ანდერძში იგი იუწყება, რომ მის მიერ საგულდაგულოდ გადაწერილი „დიდი ესე და სამოქალაქო სჯულის კანონი“, რომელსაც იგი სანდო

ანად „ქრისტიანთა წინამძღვარს“ უწოდებს, „საუკუნოდ მოკსენებულმა და ქართველთათვის ფრიად ჭირთა ფავსმდებელმა“ არსენ იყალთოელმა თარგმნაო.

არსენის მთარგმნელობით საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, აგრეთვე, კრებულს, რომელიც დოგმატურ-პოლემიკური თხზულებებისაგან შედგება და ქართულ მწერლობაში „დოგმატიკონი“ უწოდება. ამ კრებულის მრავალი ხელნაწერი არსებობს, მაგრამ მათ სხვადასხვა შედგენილობა აქვთ. ხელნაწერთა ანალიზი ადასტურებს, რომ კრებული, რომელიც არსენის ხელიდან გამოვიდა, თანდათან სხვა მთარგმნელთა მიერ ნათარგმნი თხზულებებითაც ივსებოდა. თვითონ არსენს დოგმატიკონში ცხრა ცნობილი და თერთმეტი ანონიმის თხზულებათა თარგმანი ეკუთვნის; შინაარსობრივად ისინი პოლემიკურ, დოგმატურ-ფილოსოფიურ და მორალური ხასიათის თხზულებებად იყოფიან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კრებული იწყება ანასტასი სინელის „წინამძღვრით“, რომლის შესახებაც მთარგმნელი ამბობს: იგი „ნამდვილი წინამძღვარი არს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა და თუალი, რომლითა ჰხედავს, და პირი, რომლითა ზრახავს, და სასმენელი, რომლითა ესმიან ღმერთშემოსილთა მამათა უცთომელნი მოძღურებანი, და საყნოსელი, რომლითა იყნოსს სულნელებასა ღმრთივსულიერთა წერილთა ყუაილისასა, და მარჯუენე მკლავი, რომლითა ესრვის და სდევნის სამწვალეზლოთა მკვეცთა გესლიანსა სიბოროტესა“.

„დოგმატიკონის“ სახით ქართველებს მიეცა სახელმძღვანელო არა მხოლოდ სარწმუნოებრივი მოძღვრების და ქრისტიანული ღმრთისმეტყველების საფუძვლიანად შესასწავლად, არამედ სხვა აღმსარებლობისა თუ ე. წ. ქრისტიანულ სექტათა თავდასხმებისაგან თავის დასაცავადაც, რადგან მასში შედიოდა პოლემიკური თხზულებანი ნესტორიანელთა, იაკობიტთა — მონოფიზიტთა, სომეხთა, ურიათა და მაჰმადიანთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ სახის კრებული ბერძნული ეკლესიის ისტორიაში ცნობილია არაა. ასე რომ, მისი შექმნის იდეაც არსენს უნდა ეკუთვნოდეს.

დოგმატიკონის თარგმნა-შედგენა არსენს 1083 წლის მახლობელ ხანებში, მანგანის მონასტერში დაუწვია, მაგრამ რადგანაც ეს საქმე ფრიად შრომატევადი იყო, იგი მხოლოდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, კერძოდ შიომღვიმის მონასტერში ყოფნისას დაუსრულებია. დოგმატურ თხზულებათაგან კრებულში ცენტრალური ადგილი იოვანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ორ ნაწილს — „დი-ალექტიკასა“ და „გარდამოცემას“ უჭირავს. „გარდამოცემის“ ბოლოს მინაწერში ვკითხულობთ, რომ იოვანე მანსურის (დამასკელის) შრომები ითარგმნა არსენისაგან ვაჩეს ძისა. სხვა თხზულებების მთარგმნელად ხან მდაბალი მონაზონი არსენი იხსენიება, ხანაც მხოლოდ არსენი. კონკრეტული მიზეზი, რატომ თარგმნა მან მეორედ იოვანე დამასკელის ეფრემ მცირის მიერ ერთხელ ერთხელ უკვე თარგმნილი თხზულება, მაინცდამაინც გარკვეული არაა. ყოველ შემთხვევაში, ეკლესიაში უფრო პოპულარული ამ თხზულების არსენისეული თარგმანი გახდა, რომელმაც ეფრემ მცირის თარგმანი ხმარებიდან განდევნა.

მართალია, კაპადოკიელი წმინდა ქალწულის ნინოს მიერ ქართველი ერის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა ქართული და ბერძნული წყაროებით დადასტურებული იყო, მაგრამ მისი ცხოვრების თანმიმდევრული აღწერა, რომელიც საკითხავადაც სასიამოვნო იქნებოდა, ისტორიული თვალსაზრისითაც გამართული და ლიტურგიკულ პრაქტიკაშიც გამოსაყენებელი, არ გვქონდა. თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და XI საუკუნეში ისტორიკოსი ლეონტი მროველის მიერ „მეფეთა ქართლისაჲ“ და XI საუკუნეში ისტორიკოსი ლეონტი მროველის მიერ „მეფეთა ქართლისაჲ“ ჩართული მოთხრობა ქართველთა განმანათლებლის მოღვაწეობის

შესახებ ბევრ ცნობას გვაწვდიდა, მაგრამ, როგორც არსენ იყალთოელი წერს, „შეუწობებლად და განბნეულად“; ერთმანეთში იყო აღრეული მოთხრობანი თავად წმინდა ნინოსა, მირიან მეფისა, იაკობ მღვდლისა, აბიათარისა და სიდონიასი, ყოველგვარი ქრონოლოგიური და ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე, „ამისთვის საეკლესიოდ მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უკმარ და ვერ საცნაურ“. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ წმ. ნინოს ცხოვრება არსენ იყალთოელს დაეწერა. იგი თვითონვე განმარტავს, რა პრინციპით შექმნა ძველ წყაროებზე დაყრდნობით მოციქულთა სწორის ცხოვრების ფაქტობრივად ახალი მეტაფრასული რედაქცია: „არცა შემემატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვსა და გამოცხადებამ საქმისა მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს და მრავალკეცსა და მასვე თანა-აღრეულობასა ჰანბავისასა თანა-წარკდილ ვარ. და უკუეთუ რამე შესავალად თხრობისა ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვსა სიტყუამ გვკმარებია, იგიცა საღმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქმულისაგან არს და ყოველი ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ...“

ერთი პერიოდი არსენს იყალთოში უმოღვაწეებია, ოღონდ გაურკვეველია, კერძოდ, რომელ წლებში, დავით აღმაშენებლის სიკვდილამდე თუ სიკვდილის (1125 წ.) შემდეგ. უფრო საგარაუდებელია, რომ მან მეფის გარდაცვალების შემდეგ დატოვა შიომღვიმის მონასტერი და სამოღვაწეოდ იყალთოში გადავიდა, სადაც, როგორც ჩანს, უკვე არსებობდა საღმრთისმეტყველო სასწავლებელი, რომელშიც ყრმები წერაკითხვას, საღმრთო სჯულს, გალობას, მევენახეობა-მეღვინეობასა და სხვადასხვა ხელობას სწავლობდნენ. არსენის იყალთოში დამკვიდრების შემდეგ სასწავლებელი უმაღლეს ფილოსოფიურ-საღმრთისმეტყველო აკადემიად უნდა გადაკეთებულიყო. ამიტომაც ითვლება არსენი მის დამაარსებლად. თუმცა, იყალთოს აკადემიის შესახებ წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, იმის შესახებ მაინც არავინ დაობს, რომ იგი ნამდვილად არსებობდა, მოთავსებული იყო იმ შენობაში, რომლის ნანგრევებიც დღემდე დგას და მისი დამაარსებელი და რექტორი არსენი იყო.

თუ გავითვალისწინებთ შუა საუკუნეებში ბიზანტიური უმაღლესი სკოლების ხასიათს, სადაც განათლება თვითონ არსენსაც ჰქონდა მიღებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იყალთოს აკადემიაში ღმრთისმეტყველება, ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა, მათემატიკა და მუსიკა ისწავლებოდა.

არსენ იყალთოელის მრავალმხრივი თავდადებული მოღვაწეობა, ვითარცა მისთა წინაპართა დიდშუენიერნი საქმენი, ეფუძნებოდა რწმენას იმისა, რომ როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე ერის გადასარჩენად უწინარესად მის სულიერ გადა-რჩენაზე ზრუნვაა საჭირო.

დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ჩვენ სიტყვას არ შევჩერებთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მან შეუძლებელი შეძლო და დიდი თურქობისაგან გავერანებული, აოხრებული და გაუკაცრიელებული ქვეყანა არა მარტო მათი ბატონობისაგან იხსნა, არამედ მისი ეკონომიკურ-კულტურული აღორძინებაც მოასწრო. ჩვენ ყურადღებას იმაზე გავამახვილებთ, რა იყო ის ძალა, რომელმაც მას ყოველფე აბის გაკეთება შეაძლებინა, — ეს იყო დიდი და ღრმა რწმენა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ამასთან, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმიანად აღიარებული.

როგორც მისი ისტორიკოსი გვამცნობს, დავით აღმაშენებელი თავის თავს „უხ-

წავლელს“, „მსოფლიონ“ და „მკვდრობასა შინა აღზრდილს“ უწოდებდა, მაგრამ, ცხადია, საკუთარ თავზე ამგვარი შეხედულება მხოლოდ და მხოლოდ მის თავმდაბლობაზე მეტყველებდა, რომელიც სულიერი ამაღლების საწინდარია.

სინამდვილეში დავითმა ბრწყინვალედ იცოდა არა მხოლოდ ქართული საერო და სასულიერო მწერლობა, არამედ საფუძვლიანად იცნობდა მაჰმადიანთა რელიგიასა და პოეზიასაც. რადგან საქართველოს მდგომარეობა დასაჯდომად და წიგნების მოსვენებით წასაკითხად არ აცლიდა, გარდა იმისა, რომ მისთვის ძილს იკლებდა, მეფეს ჩვევად ლაშქრობაში წიგნების წაღებაც ჰქონია; მემატიანის თქმით „წიგნები ეტურთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და სადა გარდაკდის ჰონესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან ჰელითა“. მაშასადამე, ამგვარი თავისებური, შეიძლება ითქვას, მოძრავი ბიბლიოთეკა, დავითს საშუალებას აძლევდა, მცირე ხნით შესვენებაც კი მათ წასაკითხად გამოეყენებინა. როცა კითხვისგან თავლები ეღლებოდა, სასმენელთ მოიშველიებდა და სხვათა წაკითხულს ისმენდა. რაც შეეხება ბიბლიურ წიგნებს, ესმოდა რა მათი ღმრთებრივი სიბრძნის სიღრმე და სირთულე, განუწყვეტლოვ კითხულობდა. მეფეს წესად ჰქონია დადებული — წიგნის კითხვის დამთავრების შემდეგ ნიშნის დასმა. ამ ნიშნების მიხედვით შეიძლებოდა გარკვევა იმისა, რომელი წიგნი რამდენჯერ ჰქონდა წაკითხული. მაგალითად, სამოციქულოზე დათვლილმა ნიშნებმა ცხადყო, რომ მას იგი ერთი წლის განმავლობაში 24-ჯერ წაეკითხა.

თუ რა ღრმად იყო დავით აღმაშენებელი განსწავლული საღმრთისმეტყველო ლიტერატურაში, ამაზე ერთი ასეთი ფაქტიც მეტყველებს. მეფეს სწორად შეუფასებია ანდრია კრეტელის საგალობლის „დიდი კანონის“, რომელსაც სინანულის კანონსაც უწოდებენ ექვთიმე და გიორგი ათონელთა თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებანი, რომელთა გამოც მათი ლიტურგიაში გამოყენება ჰქირდა და „ესრეთ მძიმედ სადმე ტურთად ზედა ესხნეს ორნივე იგი ყოვლისა საქართველომსა ეკლესიათა“ და არსენ ბერისათვის მისი მესამედ თარგმნა უბრძანებია. არსენმა შეასრულა მეფის დავალება და დღემდე ქართული ეკლესია „დიდი კანონის“ მისი თარგმანით სარგებლობს, თუმცა ვფიქრობთ, რომ მისი რამდენიმე ადგილი რედაქტირებას აუცილებლად საჭიროებს.

დარწმუნებული იყო რა იმაში, რომ ქვეყნის როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ასევე კულტურულ-ეკონომიკური ძლიერება ერის სულიერ მდგომარეობაზე, მის ზნეობაზე იყო დამოკიდებული და ესმოდა რა ამ საქმეში განსაკუთრებული როლი მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მოძღვრებისა, დავით აღმაშენებელმა ეკლესიის ორგანიზმის გასაჯანსაღებლად საეკლესიო კრების მოწვევა განიზრახა; ამ დროისათვის ეკლესიის სენს ის წარმოადგენდა, რომ „უფროსნი საეპისკოპოსნი“, ეპარქიათა უმეტესი ნაწილი უღირს მღვდელმთავრებს ჩაუვარდათ ხელში. ბუნებრივია, უღირსი და უზნეო მწყემსები არა თუ ქრისტესგან მათთვის მინდობილი სამწყსოს სულიერსა და ხორციელ მდგომარეობაზე ზრუნავდნენ, არამედ, პირიქით, თავიანთი საქციელით უწყსობის დამღუპველი მაგალითებით უზნეობას საქმით უქადაგებდნენ, ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ის იყო, რომ მოძღვრად კურთხევისას ადამიანთა პირად ღირსებებს კი არ ითვალისწინებდნენ, არამედ მათ შთამომავლობასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწყსოთა მამულებით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცენსი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშე ყოფელთა. და თვით სახლით უფლისადთ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უს-

ჯულოება და ცოდვა“.

ვიტარების გამოსასწორებლად მეფემ მიზნად მისი მიზეზის აღმოფხვრა განიზრახა. თავის დროზე, ეკლესიაში უღირსთა ხელდასხმის წინააღმდეგ, როგორც ვაჟიო საქართველოში ჩამოსულმა გიორგი მთაწმინდელმა გაილაშქრა და ნაწილობრივ შედეგსაც მიაღწია. მაგრამ ეს მისი პირადი ინიციატივა და ღვაწლი იყო, რომელსაც ეკლესია კანონად არ მიიღებდა. ამისთვის საეკლესიო კრების დადგენილება იყო საჭირო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრებისა და მისი დადგენილებებისათვის იურიდიული საფუძვლის მისაცემად დავითმა არსენ იყალთოელს „დიდი სჯულის კანონი“ ათარგმნინა. რაკი საეკლესიო კანონთა კრებული ქართულად არსებობდა, კრების მოწვევაც შესაძლებელი გახდა და 1103 წელს ეკლესიის „დიდთა წყლულებათა კურნებად“ „მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა, რუისისა და ურბნისათა“, „ადგილსა ჯეროვანსა“ „ერი მრავალი“ შეიკრიბა. დავითმა კრებაზე „კათოლიკოსი, მღვდელმთავარნი, მეუღაბროენი, მოძღვარნი და მეცნიერნი“ მოიწვია და მათ ეკლესიაში საეკლესიო კანონთა მიხედვით წესრიგის აღდგენა დაავალა.

კრების მონაწილეებმა, რომელთა „თავ და წინამძღუარ იყო იოვანე ქართლის კათალიკოსი“, ხოლო მდივანი და ერთ-ერთი ორგანიზატორი არსენ იყალთოელი იყო, მიიღეს განჩინება, სათაურით „ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ-შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა ღმრთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაჲთა პირთათჳს, რომელნი ქვემო მოკსენებულ არიან“. ტექსტი შედგება ოთხი ნაწილისაგან: შესავალი, თვით განჩინება, რომელიც 19 მუხლს შეიცავს, ხოტბა დავით აღმაშენებელისა და მოსახსენებლები. შესავალში გადმოცემულია ბიბლიური სწავლება სამყაროს შესაქმნე, ქრისტეს განკაცება და მოძღვრება, წმ. ანდრია პირველწოდებულისა და მოციქულთა სწორის წმ. ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობა საქართველოში; ჩამოთვლილია მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ დამტკიცებულ კანონთა ნუსხები, ეკლესიის „მამათა მიერ განწესებულნი და თანაღრიცხულნი კანონნი“, რომლებიც თავმოყრილია „დიდი სჯულის კანონში“ და ბოლოს აღნიშნულია, რომ ესაა კრებული წმინდა საეკლესიო კანონებისა, რომელნიც დაცულნი არიან კლება-შემატების გარეშე და რომ მათი ცოდნა და მათთვის შედგომა მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ქრისტიან მღვდელმსახურთა ვალია.

„ძეგლისწერის“ შესავლის დასკვნითი ნაწილი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ რუის-ურბნის კრების მიერ მიღებულ დადგენილებებს საფუძვლად საეკლესიო სამართლის კოდექსი დაედო, რომლის დაცვა და „მტკიცედ პყრობა“ ყველა ქრისტიანისათვის სავალდებულო იყო და არის. ეს კოდექსია სწორედ არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულის კანონი“.

„ძეგლისწერის“ მეორე შემადგენელი ნაწილი-განჩინება, უღირსთა მღვდელმსახურთა განკვეთასა და მათ ნაცვლად ღირსეულთა, რომელთაც „კეთილად განწყურნეს ჴორცნი დამორჩილებად სულისა“, ხელთდასხმის შესახებ გვამცნობს. კრებამ განსაზღვრა ასაკიც ეკლესიის მსახურთათვის, სახელდობრ, დადგინდა, რომ „ეპისკოპოსი ოცდათხუთმეტი წლისაჲ, მღვდელი ოცდაათი წლისაჲ, დიაკონი ოცდახუთისა წლისაჲ, წიგნის მკითხველი რვისა წლისაჲ ჴელთდასხმულ იქმნებოდინ“.

კრებამ აკრძალა ხელთდასხმელის მიერ ხელთდასახმელისაგან ქრთამისა და საფასის აღება, ჩვილ ქალ-ყრმათა ქორწინებისათვის გვირგვინის კურთხევა, მართლმადიდებელი ქრისტიანისა და მწვალებლის შეუღლება, უკვე დაქორწინებული მამაკაცის ან ღვდაკაცის გვირგვინის კურთხევა სხვა ღვდაკაცთან ან მამაკაცთან.

საეკლესიო ინვენტარისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და სხვ.

ამგვარად, კრებამ პიროვნების შეფასების საზომად არა წარმოშობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ მისი პირადი ღირსებები აღიარა, რომელშიც უწინარესად მისი ზნეობრივი სახე იგულისხმებოდა და ყოველგვარი უმსგავსოება და უზნეო მოქმედება გაკიცხა და დაგმო. ამიტომაც უწოდა კრების მიერ მიღებულ დოკუმენტს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა სრულიად სამართლიანად „ძველი შუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა“. ქართულ მეცნიერებაში არსებობს აზრი, რომ კრების დადგენილებებს მშვენიერი ლიტერატურული ფორმა არსენ იყალთოელმა მისცა. მხოლოდ სულიერი სიწრფელე და მაღალი ლიტერატურული გემოვნება თუ შეაძლებინებს კაცს ასე გამოხატოს სიყვარული მშობლიური ეკლესიისა და ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი: არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიო, არცა განგცეთ შენ, სიქადულლო ჩუენო მართლმადიდებლობო, რომლისა არცა განმცემელქმნილ ვართ, ვინამთგან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ — მოწამე არს ჭეშმარიტებად, ამინ!

რაც შეეხება „ძველისწერის“ მესამე ნაწილს, რომელიც დავით აღმაშენებლისათვის ხოტბა-ქების შესხმას წარმოადგენს, მასში მართლმორწმუნე მეფე მატერიალურ, ბიბლიურ, მითოლოგიურსა და ისტორიულ სახეებთან ანალოგიების საშუალებითაა დახასიათებული; მაგალითად, ნათქვამია, რომ მეფე სამყაროსავით ჰაეროვანი, მხესავით საჩინო, ეთერივით ბრწყინვალე, ელვასავით ნათელი, აღმოსავლეთივით გაცისკროვნებული, გაზაფხულივით ტკბილი, იაკინთივით ელვარე, ფინიკივით მაღალი, ვარდით მშვენიერი, ლომით ძლიერი (მატერიალური სამყარო), ნებროთივით სახელგანთქმული, ისო ნავესავით აზოვანი, სამსონივით მხნე, აქილევსივით დაუმარცხებელი, დავით წინასწარმეტყველივით მშვიდი, ალექსანდრე მაკედონელივით უშიშარი, კეისარ ავგუსტუსივით ფლობის განმადიდებელი, ქრისტესავით კაცთმოყვარე, კონსტანტინე იმპერატორივით „სახის-დასაბამ უცთომელისა ქრისტიანობისა“, თეოდოსი სკრიპტისმპყრობელივით კეთილმსახურებისა სიმტკიცე (ბიბლიური, მითოლოგიური და ისტორიული სამყარო) იყო.

ქებასთან ერთად მწერალი მეფეს ეკითხება, მიანიჭა თუ არა სულიერი კმაყოფილება და სიმშვიდე კრების დადგენილებამ: „განსაკუთრებულ არსა ამათ ზედა სიბოროტისა სულთა მდევნელი დავითიანი სული შენი?“ თავის მხრივ იგი მეფეს აუწყებს, რომ კრების მონაწილე საეკლესიო მოღვაწენი მისი ერთგულნი არიან და ღმერთს ევედრებიან: „მრავალჟამიერ ყოს დავით კეთილად მსახური და ღმრთივ-დაცული მეფე“ მათი.

სახოტბო ეპისტოლე დავით აღმაშენებლისადმი ეკლესიის საუკეთესო მოღვაწეთა არა პირფერულ, არამედ გულწრფელ დამოკიდებულებას ასახავდა. ისინი სრულიად იზიარებდნენ დიდი მეფის ზრახვებს, რომელნიც საქართველოს სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისადმი იყო მიმართული და სამშობლოს დაცვისა და გაძლიერების საქმეში არა მხოლოდ თანამზრახველნი, არამედ სულიერი შემწენიც იყვნენ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საუფრობელი, რომელიც არსენს დავით მეფის ბრძანებით შიო-მღვიმის მონასტრისათვის შედგენილ ტიპიკონში ჩაურთავს: „აცხონე, ღმერთო, ერი შენი და აკურთხე სამკუდრებელი შენი. მოხედენ სოფელსა შენსა წყალობითა და სიტკბოებით; აღამადლე რქამ ქრისტეანეთად და გარდამოავლინენ ჩვენ ზედა მდიდარნი წყალობანი შენნი მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა... მერმეცა გვედრებით კეთილად მსახურისათჳს და ღმრთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა სიმტ-

კიცისა, ძღვეისა დამყარებისა, სიმართლისა, ცხოვრებისა და ცოდვითა მიტევებისა მისთვის და რათა უფალი ღმერთი ჩუენი უმეტეს შეეწიოს და წარუმართოს ყოველსა შინა და დაუმორჩილნეს ქუეშე ფერჯთა მისთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი“.

ეს იყო მართლაც ბედნიერი ხანა ქართველი ერის ისტორიაში, როცა უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება ქვეყანას თანხმობით მართავდა, ერთმანეთს საკუთარ ფუნქციათა შესრულებაში გულწრფელად ხელს უწყობდა და შედეგიც თვალნათელი იყო; მკვდრებით აღდგენილი, წელში გამართული, კასპიის ზღვიდან შვებამდე გადაშლილი საქართველო, პოლიტიკურ-ეკონომიკურად ძლიერი, კულტურულად დაწინაურებული და სულიერი ამაღლების გზაზე მტკიცედ შემდგარი...

ცნობილია, დავითს აღმაშენებლის განსაკუთრებული დამოკიდებულება შიო-მღვიმის მონასტრისადმი. 1123 წელს მას სპეციალურად ანდერძიც დაუწერია შიო-მღვიმისათვის. როგორც ამ ანდერძიდან ჩანს, იგი მადლიერი იყო **მამათა მემღვმეთა**, განსაკუთრებით **მთავარ-მამისა, მემღვმე მიქაელისა**, რომელთაც 1103 წელს ამბოხებული ფეოდალი ძაგანი, ვინც ზედაზენი კახთა მეფეს კვირიკეს გადასცა და დავითი მოსაკლადაც კი გაიმეტა (კარვის კარებში მდგარი, მხოლოდ პერანგით შემოსილი მეფე მის მიერ ნასროლი ისრით განგმირვისაგან მთავარანგელოზის სამკერდე ხატმა იხსენა), დამარცხების შემდეგ **მღვმეს შელტოლვილი**, დასასჯელად დავითს გადასცეს.

გამოჩენილი ერთგულებისათვის პატივის მისაგებად აღმაშენებელმა **მთავარ-მამა, მემღვმე მიქაელი** პირადად მოინახულა, არსენ იყალთოელი იხმო და მას შიო-მღვიმის სამონასტრო კომპლექსში ღმრთისმშობლის ტაძრის აგების განზრახვა გაანდო. მოესწრო თუ არა დავით აღმაშენებელი მშენებლობის დასრულებას, ცნობილი არაა, სამაგიეროდ ვიცით, როგორ შეაფედრა მან იგი ღმერთს: „შეწვენითა ყოვლად სახიერისა ღმრთისადათა და მადლითა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისადათა და მეოხებითა შესავედრებელისა ჩემისა წმიდისა შიომისითა მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა ჩემმიერ აღშენებულსა“.

ეს ეკლესია შიო-მღვიმის ლავრაში დღესაც ყველაზე დიდი ნაგებობაა, მის შუაგულში დგას და უდაბნოს მთელ ანსამბლს ამშვენებს.

1106 წელს დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტრის მშენებლობა დაიწყო. გადმოცემით, საძირკველში პირველი ბალავერი თავად მეფეს ჩაუგდია. ღმრთისმშობლის ტაძარი, მართალია, ნელა, მაგრამ საფუძვლიანად შენდებოდა; ასე რომ, 1125 წლისათვის იგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო: წუხილს ამის გამო იგი ასე გამოხატავს: „ხოლო დამრჩა მონასტერი, სამარხავი ჩემი და საქვალე შულთა ჩემთა, უსრულად და წარმყვა მისთვისცა ტკივილი სამარადისო“.

როგორც ჩანს, დავითმა თავიდანვე განიზრახა, რომ გელათი ერის სულიერი და კულტურული განათლების კერად ექცია; ამ მიზნით მან იქ ბიზანტიური უმაღლესი სასწავლებლის ანალოგიური აკადემია დააარსა, რომელშიც უცხოეთში მოღვაწე ქართველებიდან „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“, ყველა ვინც კი „სიწმიდით, სიკეთით, სისრულით, სულიერითა და კორციელითა აღსავსეობით“ იყო ცნობილი. იმ მზრუნველობასთან ერთად, რომელსაც დავითი მონასტრისა და აკადემიის მიმართ იჩენდა, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ გელათი იქცა „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, და კანონად ყოვლისა საეკლესიოდსა შუენიერებისად“.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ აკადემიის პირველ მოძღვართა შორის არსენ იყალთოელი და იოვანე პეტრიწიც იყვნენ. სამაგიეროდ აღ-

ვილად დასტურდება გელათის სალიტერატურო სკოლის არსებობა. მონასტრის მკვიდრმა ბერებმა ნაყოფიერად იღვაწეს და მრავალი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატი, ბიბლიური წიგნები, ასკეტიკურ-მისტიკური და ჰაგიოგრაფიული თხზულებები თარგმნეს. ჩვენამდე მოაღწია ბიბლიურ წიგნთა ახალმა რედაქციამ, რომელიც „გელათური ბიბლიის“ სახელითაა ცნობილი, ზოგჯერ მას კატენებიან ბიბლიასაც უწოდებენ. მის მთარგმნელად ზოგი ეფრემ მცირეს (რ. ბლეიკი), ზოგი იოვანე პეტრიწს (კ. კეკელიძე) და ზოგიც არსენ იყალთოელს (პ. ინგოროყვა) თვლის. ცნობილია, რომ არსენი ბიბლიოლოგიაში არ მუშაობდა. სამაგიეროდ ვიცით, რომ ბიბლიური წიგნების თარგმნითა და რედაქტირებით იოვანე პეტრიწი იყო დაკავებული. ამ დროს იგი მიზნად ტექსტების ბერძნულ დედანთან, რაც შეიძლება, მეტ დაახლოებას ისახავდა. მისი მუშაობის შედეგი იყო მოსეს წიგნებისა და ოთხთავის ახალი რედაქციების წარმოშობა.

თუ გელათური ბიბლია უშუალოდ თვითონ იოვანე პეტრიწს არ უთარგმნია, მთარგმნელი მისი მიმდევარი მაინც უნდა იყოს, რადგან ტექსტი პეტრიწის მთარგმნელობით მეთოდსა და სტილთან ნათესაობას აშკარად ამჟღავნებს.

ქართული და უცხოური წყაროები ერთხმად ადასტურებენ, რომ დავით აღმაშენებელმა 60 000 მხედრით გაილაშქრა სომხეთისაკენ და მუსულმანთა ბატონობისგან იხსნა ქალაქი ანისი. ეროვნებით ბერძენი დედოფლის კატრონიტეს მიერ აგებული დიდი ეკლესია, რომელშიც თვითონ იყო დასაფლავებული, მაჰმადიანებს მიზგითად გადაეკეთებინათ და ტაძარიცა და ქალაქიც ქრისტიანთა სისხლით ჰქონდათ მორწყული.

ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, დავით აღმაშენებელი კათალიკოსთან, ეპისკოპოსებსა და მთელ ლაშქართან ერთად შევიდა ტაძარში და დედოფალს საფლავში ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იქსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ჳელთაგან“. ეს სიტყვებიც იმგვარ თაემდაბლობაზე მეტყველებს, რომელიც მხოლოდ სულით მაღალთა თვისებას წარმოადგენს. დავითი ამ გამარჯვებას, ისევე როგორც უსჯულოებზე სხვა დროს მოპოვებულ გამარჯვებებს არა საკუთარ მხნეობას, სიბრძნესა და სიმაძაცეს, არამედ ღმრთის ნებასა და წყალობას მიაწერდა.

ჭეშმარიტი ქრისტიანის ზნეობა გამოამჟღავნა დიდებულმა მეფემ გამარჯვების შემდეგაც. მან ანისი მის პატრონებს — სომხებს ჩააბარა. კარგად თქვა პოეტმა: „ქართველთა მეფე, ქართული სისხლით, სომეხთა ქალაქს სომხისთვის იღებს“ (მ. ლებანიძე, „ანისის აღება“).

მაშინ, როცა ქართველები და სომხები ანისის განთავისუფლებას ერთად ზეიმობდნენ, მეფესთან სომეხი ეპისკოპოსები მივიდნენ, რომელნიც სწავლულობასა და მეცნიერობას ჩემულობდნენ და მას საეკლესიო კრების მიწვევა სთხოვეს, რომელიც გამოიძიებდა, ვისი სჯული იყო ჭეშმარიტი — ქართველებისა (დიოფიზიტობა) თუ სომხებისა (მონოფიზიტობა).

დავითს უარი არ უთქვამს; მან ქართლის კათალიკოსი იოვანე, და ეპისკოპოსები და მეუღაბნოენი იხმო, ასევე „არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათა“, მასთან ერთად, „სხვათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა“ მოუწოდა და დაიწყო პაექრობა, რომელიც „ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე“ გაგრძელდებულა. მოკამათენი ისეთ საკითხებსაც შეხებიან, რომელთაც არ უნდა შეხებოდნენ. ამის გამო მათს სიტყვისგებას დასასრული არ უჩანდა. მაშინ პაექრობაში დავით მეფე ჩაერია და ღმრთისმეტყველების საკითხთა ისეთი ღრმა ცოდნა წარმოაჩინა და ლოკალურად ისე ოსტატურად აგებული სიტყვა წარმოთქვა, რომ მისი უპირატესობა თვით სომეხმა

მწვალებლებმაც აღიარეს და მეფეს „მოძღუარი მოძღუართა“ უწოდეს: „ჩვენ, მეფეო, მოწაფე გუგონე ამათ მოძღუართა თქუნთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამეხარ მოძღუარი მოძღუართა რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ვეგ მოძღუარ-საგონებელნი თქუნნი“.

ღრმა რწმენა და საფუძვლიანი საღმრთისმეტყველო განათლება განაპირობებდა იმ სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას, რომელსაც ღიდი მეფე სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევართა მიმართ იჩენდა. როგორც ცნობილია, თბილისში მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში არაბები ბატონობდნენ და საქართველოს დიდქალაქს ამირა მართავდა. ვიდრე არაბთა სახალიფო მძლავრ პოლიტიკურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, თბილისის ამირას ხელისუფლებაც მთელ ქართლს ზედამხედველობდა; ხოლო როცა ხალიფატი დაიშალა, არაბთა ბატონობაც თანდათანობით შესუსტდა და თბილისის ამირას უფლებებიც შეიკვეცა. XI-XII საუკუნეებში იგი მხოლოდ თბილისს განაგებდა. იყო ისეთი პერიოდებიც, როცა იგი საქართველოს მეფეს ხარკს უხდიდა; ამ ვითარებაში თბილისის ქართული მოსახლეობაც შეეხება გრძნობდა, ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდებოდა, რომელსაც მუსულმანები მაშინვე არღვევდნენ, როგორც კი ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნებოდათ და ქრისტიანების დევნას ძველებურად განაგრძობდნენ. ასეთი ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მათ თურქთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად ქართული სახელმწიფოს დაკნინება-დასუსტებამ დაუიოთ აღმაშენებლის ტახტზე ასვლამდე. თვით დავითის მეფობაშიც, სანამ იგი თბილისს შემოიერთებდა, ეს კი შედარებით გვიან, 1122 წელს მოხდა, თბილისელი მაჰმადიანები ქრისტიანებს უმოწყალოდ სდევნიდნენ და ხშირად ისე, რომ ამისთვის მიზეზიც არ სჭირდებოდათ, ხოცავდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ქალაქი ტფილისი... სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთამათა, რამეთუ ოდესმე ყვიან დაუღავი და თუნიერ მიზეზისაცა მოსრნიან, რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი...“

როდესაც მეფემ ქალაქი აიღო, არც უფიქრია სამაგიერო მიეგო და შური ეძია მუსლიმანებზე იმ ტანჯვა-წამებისათვის, საუკუნეთა განმავლობაში რომ აყენებდნენ საქართველოს დედაქალაქის მკვიდრ მოსახლეობას. თვითონ არაბი ისტორიკოსები (ალ-ფარიკი, ალ-ჯაუზი) გვაუწყებენ, რომ გამარჯვებულმა მეფემ მცხოვრებნი (იგულისხმება არაბები), არა მხოლოდ დაინდო, არამედ თანაგრძნობითაც მოეპყრო. არაბებისაგან განსხვავებით, რომელნიც ქართველებს რელიგიური მრწამსის თავისუფლად აღიარების ნებას საკუთარ სამშობლოში არ აძლევდნენ, დავითმა მათ თავიანთ მეჩეთებში სხვის მიწა-წყალზე თავისუფლად ლოცვის ნება მისცა. ასე იქადაგა მან ჭეშმარიტი ქრისტიანობის სიღაღდე და სიღამაზე, ოღონდ არა სიტყვით, არამედ საქმით ასე რომ მისი განთქმული ტოლერანტობა საკუთარი სარწმუნოებისადმი გულგრილობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ პირიქით, მისი არსის ღრმა წვდომითა და ქრისტეს მიერ ნაანდერძევ მცნებათა საქმით აღსრულების გულწრფელი სურვილით.

იცოდა რა ძალა მონასტრებში აღვლენილი ლოცვებისა და მნიშვნელობა იქ მოღვაწე ბერების ლიტურატურული მოღვაწეობისა, მეფე ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე არც უცხოეთში მოქმედ ქართულ მონასტრებს ტოვებდა, საბერძნეთში იქნებოდა ეს, ბულგარეთში, ასურეთსა თუ კვიპროსზე. თვითონაც ააგო მონასტერი „მთასა სინასა ზედა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ილია“. ყოველ მათგანს წმ. მეფე უხვ შესაწირავს სწირავდა.

ბუნებით კაცთმოყვარე დავითს მხედველობიდან არც ღარიბ-ღატაკნი, მიუსაფარნი, სნეულნი და დაჯდომილნი გამორჩენია და მათთვის „ადგილსა მომსგავსე-

ბულსა და შუენიერსა“ ქსენონი აღუშენებია. საერთოდაც მეფის ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა ქველმოქმედება ყოფილა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსენ ბერს დავით აღმაშენებლის თხოვნით მესამედ უთარგმნია ქართულად ანდრეა კრეტელის „დიდი კანონი“, რომელიც ჩადენილ ცოდვათა გამო სინანულის გულწრფელად გამოხატვის გამო „სინანულის საგალობლადაც“ იწოდება და ლიტურგიაზე დიდ მარხვაში იკითხება. ვერცერთმა დიდმა საქმემ (და ასეთი ძალიან ბევრი იყო), რომელიც დავით მეფემ საქართველოს ისტორიაში აღასრულა, ვერაფერი დააკლო მის თავმდაბლობას, რადგან მადლიერება წინაშე ღმრთისა, ვისი ძალითაც იგი ამ საქმეებს აღასრულებდა, არ აძლევდა საშუალებას ქედმაღლობისა და თავის თავზე დიდი წარმოდგენის შექმნისა. თავის დიდ საქმეებზე მეტად მეფეს ის ცოდვები ახსოვდა, რომელთა ჩადენისგანაც სრულიად თავისუფალი ამქვეყნად მოსული არცერთი კაცი არ ყოფილა. იცოდა, რომ მათგან თავის გამოხსნის ერთადერთი გზა აღიარება და მონანიებაა, ამიტომაც მოსწონდა განსაკუთრებით კრეტელის „დიდი კანონი“ და უნდოდა მისი შედარებით სრულყოფილი თარგმანი პქონოდა. საკუთარ ცოდვათა მძაფრმა განცდამ და ზეგავლენამ, რომელსაც მასზე ანდრეას საგალობელი ახდენდა, დავით აღმაშენებელს ორიგინალური თხზულების — „გალობანი სინანულისანი“ შექმნა შთააგონა, რომელიც ქრისტიანული ღმრთისმეტყველების ცოდნით, სიწრფელითა და განცდათა სიტყვაში პოეტურად განცხადების ძალით კრეტელის სახელგანთქმულ კანონს არ ჩამოუვარდება. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანდრეა სასულიერო პირი ბრძანდებოდა, ხოლო დავითი ერისკაცი იყო და თანაც მეფე. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს, ამ თვალსაზრისით „გალობანი სინანულისანი“-ს ქრისტიანულ მწერლობაში ანალოგია არ მოეპოვება. თვითმპყრობელი ჰელმწიფე და ამასთან, დიდთა და კეთილთა საქმეთა შემოქმედი თავმდაბლობით თვით პავლე მოციქულს მიემსგავსა, როცა თავი ცოდვილთა შორის უცოდვილესად აღიარა:

„ამისთვის იყო ქალწული
და ჰორც-ქმნაჲ სიტყვსაჲ,
რამთა ცოდვილნი, რომელთა პირველი,
საშუალი და დასასრული
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“.

ამგვარმა, სულით მაღალთათვის დამახასიათებელმა თავმდაბლობამ დაატოვებინა დიდებულ ხელმწიფეს ანდერძად, რომ გელათის მონასტერში ისეთ ადგილას დაესაფლავებინათ, სადაც მის გულზე ფეხის დადგმა ყველას შეეძლებოდა.

დავით აღმაშენებელი 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. ამ დროს არსენ იყალთოელი უკვე 70 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ მწუხარებას განაცდევინებდა მოძღვარს არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ქართველი ერის მოყვარული და მზრუნველი პატრონის ამქვეყნიდან წასვლა. თავის შესანიშნავ პოეტურ ქმნილებაში „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ არსენმა მოკლედ ასე შეაფასა თავისი მოწაფის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის:

„ეინ ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა გარე გამესხნეს.
თეუნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ჰელნი დამესხნეს“.

თავად არსენს, გადმოცემის მიხედვით, სიცოცხლის ბოლო წლები იყალთოს მონასტერსა და აკადემიაში გაუტარებია. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ იგი, როგორც აქტიური მოღვაწე, აღარ ჩანს. ფიქრობენ, რომ ღვაწლმოსილი მეცნიერი ბერი დაახლოებით XII საუკუნის 30-იან წლებში უნდა გარდაცვლილიყო იყალთოში, სადაც დაასაფლავეს კიდეც სავანის დამაარსებლის, ზენონ იყალთოელის გვერდით.

იოანე პეტრიწი

XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნის დასაწყისში უნდა ემოღვაწევა იოვანე პეტრიწს. დანამდვილებით მისი ცხოვრების შესახებ, გარდა მოღვაწეობის პერიოდისა, არაფერი ვიცით. განათლება მას ბიზანტიაში უნდა მიეღო, უფრო საფიქრებელია — კონსტანტინეპოლში, კერძოდ იმპერატორი კონსტანტინე მონომახოსის მიერ 1044-47 წლებში დაარსებულ აკადემიაში. იგი უნდა ყოფილიყო მოწაფე მიქაელ ფსელოსისა და იოვანე იტალოსისა და, რაც მთავარია, მათი ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებების მიმდევარი. როცა მიქაელ ფსელოსმა აქტიური მოღვაწეობა შეწყვიტა, ხოლო იოვანე იტალოსი ერეტიკულ შეხედულებებში მხილებული და დედაქალაქიდან განდევნილ იქნა, პეტრიწი სამშობლოში დაბრუნდა. რადგანაც აქ მისი რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსის გამზიარებელნი ვერავინ ჰპოვა და შეიძლება, პირიქითაც, თავისი პიროვნების მიმართ, როგორც ერეტიკოსისა, ეჭვიც კი აღძრა, იოვანე ბიზანტიაში დაბრუნდა, ოღონდ უკვე არა კონსტანტინეპოლში, არამედ ბულგარეთში, პეტრიწონის ქართველთა მონასტერში, რომელიც 1083 წელს ააშენა ბიზანტიის სამეფო კარზე მოღვაწე ტაოელმა ქართველმა დიდებულმა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ. ფიქრობენ, რომ იგი აქ სასულიერო სასწავლებელს ხელმძღვანელობდა. ყოველ შემთხვევაში პეტრიწონის მონასტერში მას დაახლოებით ოცდაათი წელი დაუყვია და ამიტომაც მიუღია ზედწოდება პეტრიწი. ისევ და ისევ მართლმადიდებლურ სწავლებათა საპირისპირო შეხედულებათა გამო, იძულებული გამხდარა ეს მონასტერიც დაეტოვებინა. ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია, იგი დავით აღმაშენებელს მიეწვია მის მიერ დაარსებულ გელათის სასულიერო აკადემიაში, რომელიც ლიტერატურული მოღვაწეობის კერად იქცა. ამის საფუძველს იძლევა თავად იოვანე პეტრიწის სიტყვები იმის შესახებ, რომ ვერ იპოვა რა ქართველთა შორის თანამდგომნი, მან მუშაობა „დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომის“ იმედით განაგრძო.

დავით აღმაშენებლის მფარველობა განათლებისა და მეცნიერების მიმართ საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც ჩანს, ეს აიძულებდა პეტრიწს, რომ მეფე უყურადღებოდ არც მის მოღვაწეობას დატოვებდა, მაგრამ დავით აღმაშენებლის ანდრთიერთობაზე იოვანე პეტრიწთან მინიშნებაც კი არ გვაქვს და ეს ბუნებრივად რადგან ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეფე ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი და ეკლესიის სწავლებათა ერთგული მიმდევარი და დამცველი იყო.

იოვანე პეტრიწს რამდენიმე ისტორიული და ჰაგიოგრაფიული თხზულება უნდა ეთარგმნა, მაგრამ რითაც მან ყურადღება მიიქცია, ეს იყო პროკლე დიადოხის ფილოსოფიური თხზულება „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“. მის ორიგინალურ ფილოსოფიურ შემკვიდრებად იმ კომენტარებს თვლიან, რომელიც მან ქართულ ენაზე თარგმნა ტექსტს დაურთო; ეს კომენტარები მეტყველებენ, რომ მათ ავტორს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი პლატონისა და არისტოტელეს თხზულებები და სურ-

თოდაც, ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა.

იოვანე პეტრიწს, რომელსაც იმდროინდელ საქართველოში თანამედროვეთა შორის მაინცდამაინც ვერც მიმდევრები ვერ უპოვია და ვერც პატივისმცემელი, თეოლოგის სახელი ჩვენს ისტორიაში ე. წ. „აღორძინების ხანის“ მოღვაწეებმა შეუქმნეს, მათ შორის ტიმოთე გაბაშვილმა, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პროკლე დიადოხოსის თხზულების პეტრიწისეულ კომენტარებში „ღვთისმეტყველება“ მაღალი და ჭეშმარიტი იპოვებაო; და ანტონ I კათოლიკოსმა, ვინც პეტრიწს „ქართველთა საღმრთო მზე“ და „საღმრთო ფილოსოფოსი“ უწოდა.

რაც შეეხება XX საუკუნის ქართულ მეცნიერებას (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ხიდაშელი), მან პეტრიწი, მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე, ერთხმად ნეოპლატონიზმის მიმდევრად აღიარა. ბიზანტიისაგან განსხვავებით, სადაც მიქაელ ფსელოსისა და იოვანე იტალოსის ნეოპლატონურმა იდეებმა მიმდევრები არა მხოლოდ არისტოკრატიულ წრეებში, არამედ თვით უმაღლეს სამღვდელეობაშიც კი გაიჩინეს და მართლმადიდებლური ეკლესია სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენეს, საქართველოში ამ იდეებმა განარებისათვის ნოყიერი ნიადაგი ვერ იპოვეს (შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ბერძნული საზოგადოებისათვის ანტიკური ფილოსოფია და კერძოდ, პლატონის მემკვიდრეობა, უშუალოდ მის კულტურულ წარსულს და ამდენად ერთგვარად სიამაყის საგანს წარმოადგენდა).

როგორც ჩანს, ქართველებმა ვერ გაიგეს, რატომ უნდა გაეცვალათ ქრისტიანული მსოფლმხედველობა წარმართულ ფილოსოფიაზე, რომელიც კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში, მართალია, ფრიად საინტერესო, მაგრამ მაინც განვლილ ეტაპს წარმოადგენდა. ამიტომაც აქ ჩამოსულმა იოვანე პეტრიწმა, განსხვავებით მიქაელ ფსელოსისა და იოვანე იტალოსისაგან, არა თუ თავისი სკოლა ვერ შექმნა, არამედ უბრალოდ თანამგრძნობნიც კი ვერ იპოვა. ეს იყო მიზეზი იმ წყენისა, რომელსაც პეტრიწი თანამემამულეთა მიმართ გამოხატავს. იგი მათი მხრიდან ხელისშეუწყობლობას უჩივის, მაშინ, როცა ხელისშემწყობ პირობებში, როგორც თავის თავზე თვითონვე ამბობს, ქართულ ფილოსოფიაში არისტოტელეს როლის შესრულებას შეძლებდა: „ფეუცავ სურვილსა, რომელ ენამცა ენისადა გამეწყო და ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მქარისტოტელურა“.

ბიბლიური ტერმინის „შესაქმის“ ნაცვლად პეტრიწს „წარმოობა“ შემოაქვს, რაც ნეოპლატონიზმისთვის დამახასიათებელ ემანაციურობას გულისხმობს. მაგალითად, პეტრიწი ცდილობს დაამტკიცოს, რომ პროკლე დიადოხოსის სწავლება ღმრთის გარდამეტებულ კეთილობათა გადმოდინებაზე, როგორც „წარმოობის“ (ანუ სამყაროს შექმნის) მიზეზზე, შინაარსობრივად ღვთის წინასწარმეტყველის სიტყვების — „ღუარი სამუებელისა“ იგივეობრივია, მაგრამ მათი გაიგივება შეუძლებელია. პროკლე დიადოხოსთან ღმრთის კეთილობათა გადმოდინება სამყაროს წარმოშობის მიზეზზე პლატონური სწავლების აღორძინებაა, ხოლო ღვთის წინასწარმეტყველი სამყაროს წარმოშობის მიზეზზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ღმრთისაგან მის მიერ შექმნილი კაცთა მოდგმისათვის უხე წყალობასა და შვებას გამოითხოვს; მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს, საუბარი რას შეეხება, ფსალმუნის სიტყვებს „ღუარი სამუებელისა“ კონტექსტში მოვიყვანთ: „ვითარცა განამრავლე წყალობაჲ შენი ღმერთო. ხოლო ძენი კაცთანი საფარველსა ფრთეთა შენთასა ესვიდენ. დაითვრნენ იგინი სიპოხითა სახლისა შენისაჲთა და ღუარი სამუებელისა შენისაჲთა ასუა მათ“ (ფს. 35, 7-8).

თუ პეტრიწს ფილოსოფიაში თავი არისტოტელეს თანაბრად მიაჩნდა, ბიბლიო-

ლოგიასა და ღმრთისმეტყველებაში თავს „ულუმპიანთა“ (ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელთა) მძლევებად წარმოადგენდა; მაგრამ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ უკეთ განსაჯა ბიბლიური ტექსტების ქართულად მთარგმნელთაგან ვინ ვის სძლია და იოვანე პეტრიწის მიერ ვითომდა დაზუსტების მიზნით შესწორებულ თარგმანებს, რომლის ნამდვილი მიზანიც ბიბლიის სწავლების ნეოპლატონიზმთან მორიგება იყო, მთაწმინდელთა კანონიკური ტექსტები ამჯობინა.

